# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№90 (9770) 2024 წლის 5 აგვისტო. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


თეიმურაზ ქორიძე

## ამქვეყნად ხომ თეთრი ნაძირალაც ბევრზე ბევრია!



4

...ი ოხერი ტედი რინერი იმიტომ არის ნაძირალა, რომ ქვეყნიერებას ასეთად მოევლინა, ღმერთმა ასე ინება. მისი კანის ფერი და „მოწური“ აფრიკული წარმომავლობა არაფერ შუაშია!

## SOS!

## ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია მოქმედი ტაძარი უნდა გახდეს!

საპატრიარქო აზერბაიჯანის ხელისუფლებას მიმართავს!



2

ვანო ჩხიკვაძე

## სიჭაბუკის ხელმწიფეჭა

„ცრუპენტელობს ეკრანი, რომ ერთხელაც დაიბნე,
სადაც არის შიშველი ჩვენი მეფეც გაირბენს...
ისე დაიფხორება ჩვენი დროის გენია,
საქართველოს იღბლისთვის ვითომ არ ურჩენია!..
ჩვენი მატარებელი არ წასულა არსაით,
თურმე დროის ხახაში გაჩხერილა ფხასავით,
ყალბი სამეფოები რიგრიგობით ქრებიან,
ასეთ საქართველოზე მე არ მიოცნებია!“



6-7

## ოი, დედანო, მარად ნეტარნო...

თ. შურღაია-თორდიას 100 წლის იუბილემდე რაღა დარჩა!..



5

## ეროვნულ ფასეულობათა „მსოფლიო ომის“ ეპიცენტრში გავიჭედეთ!

3

ჩვენი ხალხისა და უფლის იმედი უნდა გვქონდეს...

## ახალგაზრდობა „მწვანე სამყაროსთვის“



8

## პურადი და გულადი მამულიშვილი

მეცნიერი და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მეწარმე მალხაზ დოლიძე იუბილარია!..



9

საქართველოს რესპუბლიკა
გზა მომავლისკენ!
№90. ორშაბათი, 5 აგვისტო, 2024 წელი



# მთავარია, მივიღოთ შემხვედრი ნაბიჯები ამერიკისგან!

**ჩვენი მხრიდან ნაბიჯები იდგმება და მთავარია, მივიღოთ შემხვედრი ნაბიჯები ამერიკელი პარტნიორების მხრიდან; დღემდე რასაც ვხედავთ, ეს არ არის შემხვედრი ნაბიჯები, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს ბეშუმში, აშშ-ის მიერ საქართველოს მთავრობისთვის 95 მლნ დოლარის დახმარების შეჩერების თაობაზე დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.**

როგორც მთავრობის მეთაურმა თქვა, დღემდე ვერ მიიღო ინფორმაცია, კონკრეტულად რა თანხა შეჩერდა.

„დავინტერესდებით და გავარკვევთ ამ ყველაფერს. ჩვენთვის მთავარია, რომ ვართ მოლოდინის რეჟიმში. ჩვენი მხრიდან ნაბიჯები იდგმება და მთავარია, მივიღოთ შემხვედრი ნაბიჯები ამერიკელი პარტნიორების მხრიდან. დღემდე რასაც ვხედავთ, ეს არ არის შემხვედრი ნაბიჯები, თუმცა მგონია, რომ ახლო მომავალში, განსაკუთრებით და პირველ რიგში, მას შემდეგ, რაც დასრულდება უკრაინაში ომი, მიდგომები რადიკალურად და საფუძვლიანად შეიცვლება,“- განაცხადა პრემიერმა.

მე, როგორც ვიცი, ე.წ. „დემოკრატიის ფესტივალზე“ გამოფენილი იყო მათ შორის, სააკაშვილის სურათები, ეს ნიშნავს იმას, რომ იქ რეალურად ტარდება ავტორიტარიზმის ფესტივალი; ყველაზე ცუდი ის არის, რომ ავტორიტარიზმის ფესტივალს საქართველოში პირდაპირ აფინანსებენ უცხოელი დონორები, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს „დემოკრატიის ფესტივალთან“ დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, უცხოეთიდან დაფინანსებული „ავტორიტარიზმის ფესტივალები“ ვერ დააბრუნებს საქართველოში ავტორიტარიზმს.

# შალვა პაპუაშვილი: ღმერთმა მისცეს ჩვენს ქვეყანას ერთიანობა!

**პარლამენტის თავმჯდომარემ დღესასწაული მიულოცა ყველას და აღნიშნა, რომ ზუსტად ასეთი ტრადიციების არსებობა აერთიანებს მთელ ქვეყანას.**

– მოგესალმებით, მივესალმები ხულოელებს, აჭარლებს, მივესალმები ყველას, ვინც ჩვენთან ერთად ამ ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს.

შუამთობა არის ოჯახის წევრების, მეგობრების, თანასოფლელების, მთისა და ბარის კვლავ ერთიანობის დღე. ეს ერთიანი სულისკვეთება, რომლითაც მთა აერთიანებს ყველას. ასეთი დღესასწაულები არის ჩვენი კულტურული იდენტობის გული. აი ეს მთები, კი არის ჩვენი კულტურული იდენტობის შენარჩუნების კერა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ასეთი დღესასწაულები, სადაც ყველა ერთად, მთელი საქართველო აღვნიშნავთ ჩვენს ერთიანობას, ჩვენს ერთად ყოფნას, ტრადიციებს, კულტურას. მიხარია, რომ დღეს თქვენთან ერთად ამ დღის აღნიშვნა მიწევს. დღეს, გარდა იმისა, რომ მთის კულტურას ვეზიარებით სხვადასხვა სახით, იქნება ეს სიმღერა, კულინარია თუ სხვა მიმართულებები. ეს უბრალოდ ადამიანების ურთიერთსიხარულის გაზიარების დღეც არის და სწორედ, ეს დიდი სიყვარულია, რამაც დღეს აქ შეგვკრიბა...

# საპატრიარქო აზერბაიჯანის ხელისუფლებას მიმართავს!

## ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია გახდეს მოქმედი ტაძარი და საქართველოს საპატრიარქოს მიეცეს ღვთისმსახურების რეგულარულად ჩატარების უფლება

საქართველოს საპატრიარქო აზერბაიჯანის ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს მიმართავს, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია გახდეს მოქმედი ტაძარი და საქართველოს საპატრიარქოს მიეცეს მასში ღვთისმსახურების რეგულარულად ჩატარების უფლება. ამის შესახებ საპატრიარქოს განცხადებაშია აღნიშნული.

„რამდენიმე დღეა, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა მუსიკალური ვიდეოკლიპი, რომლის კადრებიც გადაღებულია ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში, კახის რაიონში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. კადრებში ჩანს, რომ აზერბაიჯანელი მუსიკოსი ტაძრის ამბიონზე დგას და „აჭარულის“ მელოდიისა და სიმღერის თანხლებით ელექტრონულ მუსიკალურ ინსტრუმენტზე „ასრულებს“ გარკვეულ კომპოზიციას.



აღნიშნულმა ფაქტმა მყისიერად გამოიწვია საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა. როგორც ირკვევა, მოგვიანებით შემსრულებელმა კომპოზიცია Youtube-ის არხიდან წაშალა და განაცხადა, რომ ეს ვიდეო ქართული კულტურისა და ხელოვნებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად გადაიღო და მას სხვა მიზანი არ ამოძრავებდა. ასევე დასძინა, რომ უმოკლეს დროში გამოასწორებდა ამ შეცდომას. თუმცა კლიპის ამონარიდები ამ დრომდე კვლავ იძებნება სხვადასხვა ინტერნეტპლატფორმაზე.

სამწუხაროდ, ეს ფაქტი არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჰერეთში მდებარე ქართულ სიწმინდეს – ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარს ასე უპატივცემულოდ ეპყრობიან და იყენებენ ცალკეული ვითომ კულტურულ-სახელოვნებო კამპანიისათვის.



საქართველოს საპატრიარქოს ყველა მსგავსი შემთხვევებისადმი გამოუხატავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება და წუხილი. ამჯერადაც გამოვთქვამთ ჩვენს გულისტკივილს აღნიშნული ფაქტის გამო. ქურმუხის ტაძარი უდიდესი მნიშვნელობის სალოცავია. ეს სიწმინდე აღიარებულია არა მარტო მართლმადიდებლების, არამედ მუსლიმთა მიერაც. გარდა ამისა, მას აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან ისტორიულ-კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ამიტომ კიდევ უფრო გაუგებარი და დიდად საწყენია, რომ მსგავსი შეუფერებელი და შეურაცხმყოფელი ქმედებები ხდება ამ ტაძარში.

**მივმართავთ აზერბაიჯანის ხელისუფალთ და ვთხოვთ სულიერ ლიდერს, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას, შეიხ ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს, დროულად მოხდეს ფაქტების მოკვლევა და სათანადო ზომების მიღება არსებული შემთხვევების სამომავლოდ აღმოსაფხვრელად.**

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ქვეყნებსა და რელიგიურ ლიდერთა შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება მსგავსი უპატივცემულო შემთხვევების დროულად გამოსწორების წინაპირობა იქნება და შესაბამისი ორგანოებისა და პირების მხრიდან სათანადო რეაგირების შედეგად პასუხგაუცემელი არ დარჩება.

დაბოლოს, მსგავსი შემთხვევები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისათვის თავდაპირველი დანიშნულების აღდგენა. ამიტომ მივმართავთ აზერბაიჯანის ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია გახდეს მოქმედი ტაძარი და საქართველოს საპატრიარქოს მიეცეს მასში ღვთისმსახურების რეგულარულად ჩატარების უფლება, რადგან ზემოაღნიშნული ფაქტი არ არის პირველი შემთხვევა და მუდმივად ვდგავართ იმ პრობლემის წინაშე, რომელიც იწვევს დაძაბულობას, საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას და რელიგიური გრძნობების შელახვას“...

## კვირის ციტატა

# გარყვნილი და მარცხს მიჩვეული პოლიტიკური ჯგუფი

## თეა წულუკიანი ოპოზიციას: თქვენ არ მოუკვდით დედათქვენს, რაც საქართველოსთვის სიკვდილს თქვენ არ აპირებდეთ

„მე პირადად უკვე აღარ/ვეღარ ვარკვევ, რომელი ნაცი ვის გამოეყო და ვის გაუერთიანდა, ვის ახალი ჰქვია, ვის გირჩი და ვის კიდევ მოედანი. ეს იყო და არის ერთი გარყვნილი და მარცხს მიჩვეული პოლიტიკური ჯგუფი. ორჯერ აუღებს ვიღაცა ინტერვიუს და ის ინტერვიუ ჰგონიათ არჩევნებში გამარჯვება, რადგან თავი ნახეს ტელევიზორში.

საცოდაობაა. როდემდე შეიძლება ასე რინგზე მარტო ყოფნა, აღარ ვიცი“, – ამის შესახებ კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი სოციალურ ქსელში წერს:



„ბობოხიძეს, ხანდახან საუბრის რომელიღაც ნაწილში, და წელიწადში ერთხელ მაინც, ეტყობა, რომ ხალხსა და პოლიტიკას შორის კავშირს ხვდება. ნუ, ცარიელი ინსტინქტით, მაგრამ ხომ ხვდება?! ზოგი მაგასაც რომ ვერ ახერხებთ, ამაშია საქმე. რა გეშველებათ ყველას ერთად და ცალ-ცალკე?

ომი დავიწყოთ, ესაა საამაყოო და ჩვენ სიკვდილი სახელოვანი გვწყურიაო (თქვენ არ მოუკვდით დედათქვენს, რაც საქართველოსთვის სიკვდილს თქვენ არ აპირებდეთ!).

ახლა, გავიდა ცოტა დრო და სრულიად უავტორიტეტოებმა გაიარგამოიარეს ხალხში (რაკი არჩევნები მოდის, სმენიათ, რომ ამ დროს ასეა საჭირო) და გაუკვირდათ, რომ ქვეყნის განადგურება თურმე ხალხს მართლაც არ სურს. ოჰო! არ დაახანეს და შეცვალეს „მესაჟი“: ჯანდაბას, გაყიდოს მეღვინემ ღვინო რუსეთშიო და ჯანდაბას, აღარ მოვიკლავთ თავს საამაყოდ ბომბების ქვეშო. ოღონდ, პოზიციის ასეთი ცვლილება რომ პოლიტიკაში ისჯება, ამის მიხვედრას ვერც გვარამიას ვიქტორინობანასა და ბინძურ სცენარისტობაში ნავარჯიშევი ტვინი და ვერც ბობოხიძის ინსტინქტი ვერ ახერხებს.

კიდევ გამოხდა ხანი და გვაცნობეს, ვერ ვერთიანდებითო. პირიქით, ცალ-ცალკე ვართო და კიდევ უფრო მეტადაც ვიშლებითო.

და ა.შ.

მე პირადად უკვე აღარ/ვეღარ ვარკვევ, რომელი ნაცი ვის გამოეყო და ვის გაუერთიანდა, ვის ახალი ჰქვია, ვის გირჩი და ვის კიდევ მოედანი. ეს იყო და არის ერთი გარყვნილი და მარცხს მიჩვეული პოლიტიკური ჯგუფი. ორჯერ აუღებს ვიღაცა ინტერვიუს და ის ინტერვიუ ჰგონიათ არჩევნებში გამარჯვება, რადგან თავი ნახეს ტელევიზორში.

საცოდაობაა.

როდემდე შეიძლება ასე რინგზე მარტო ყოფნა, აღარ ვიცი.“

# ეროვნულ ფასეულობათა „მსოფლიო ომის“ ეპიცენტრში გავიჭედეთ!



## ჩვენი ხალხისა და უფლის იმედი უნდა გვქონდეს!

**ევროკავშირის შემდეგ, აშშ-მა 95 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარების გამოყოფა შეაჩერა. მოტივად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა საქართველოს მთავრობის ანტიდემოკრატიული მოქმედებები დაასახელა და აქვე განმარტა, რომ ყალბი განცხადებები ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების ნორმებს არ შეესაბამება. ბლინკენი ამატებს, რომ ვაშინგტონი გააგრძელებს ისეთი დახმარების გაწევას, რომელიც საქართველოს მოსახლეობას წაადგება.**

მაგრამ არ აკონკრეტებს, ვინ იგულისხმება საქართველოს მოსახლეობაში, ან რას ნიშნავს „წაადგება“. ცხადია, რომ აშშ-ის მთავრობის მიერ გამოყოფილი ე.წ. დახმარება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობას არ მოხმარებია, მაგრამ წარმატებით მოხმარდა იმ ჯგუფს და პირთა წრეს, რომელიც დღეს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს, კერძოდ – რადიკალურ ოპოზიციას და ე.წ. ენჯეო სექტორს.

იმუქრება კონგრესმენი უილიამ კიტინგი, რომლის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იცოდეს, რომ მათი ქმედება პასუხის გარეშე არ დარჩება. კონგრესმენი აცხადებს, რომ აშშ საქართველოს მთავრობას მხარს არ დაუჭერს. აშშ-ის შემდეგ ასპარეზზე გამოდის ევროკავშირის საგარეო სამსახურის პრესსპიკერი პიტერ სტანო, რომელიც აცხადებს, რომ ევროკავშირის დიპლომატიური სამსახური სერიოზულად შეშფოთებული რჩება საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხოლო კონტრვერსიული კანონის ძალაში შესვლა ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. სტანოს თქმით, მოკლევადიან პერსპექტივაში ევროკავშირმა უკვე შეამცირა პოლიტიკური კონტაქტები საქართველოს ოფიციალურ პირებთან. ასევე, საქართველოს მთავრობისადმი განიხილავენ ფინანსური დახმარების შეჩერების შესაძლებლობას.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ დასავლელი პარტნიორების მხრიდან საქართველოსთან ურთიერთობების გადახედვა და ქვეყნისთვის განსაზღვრული დახმარებების გაჩერება, ძირითადად, მათ აქ ყოფნას ემსახურება და მას პირდაპირი გავლენა საქართველოს მოქალაქეებზე, მთავრობის ფუნქციონირებაზე ან პენსიაზე, ხელფასზე, ჯანდაცვაზე, თავდაცვასა თუ ნებისმიერ სხვა მიმართულებაზე არ აქვს. „ქართული ოცნების“ წევრის ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, ეს თანხები საკმაოდ მცირეა და მათივე პროგრამების განხორციელებას და სტაფის მომსახურებას ხმარდება.

**„რაც შეეხება სასოწარკვეთილი მდგომარეობის შექმნის მცდელობას, ეს არის მცდელობა იმისა, რომ მოსახლეობა არჩევნების წინ შანტაჟის ქვეშ ამყოფონ და რამენაირად „ლელოსნაირ“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავს პარტიებს სპეკულაციისთვის სასიცოცხლო ჟანგბადი მიაწოდონ. ეს არის სამწუხარო და ძალიან დასანანი ფაქტი.**



**საქართველო საკმაო გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც დემოკრატიის გზაზე აშკარა პროგრესი გააჩნია. ქვეყანა ამ გაუგებრობას გადალახავს. საპარლამენტო არჩევნებისა და უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ ვითარება ნორმალიზაციისკენ წავა“,** – განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

„ხალხის ძალის“ წევრის **გურამ მაჭარაშვილის** განცხადებით, დონორი ორგანიზაციები, მათ შორის აშშ-დან და ევროკავშირიდან, რომლებიც სუბიექტური შემფასებლები არიან, ობიექტურ შემფასებლებად ვეღარ გამოდგებიან. დეპუტატის განცხადებით, როდესაც პოლიტიკურ ოპოზიციასა და პოლიტიკაში გადავარდნილ NGO-ს სუბიექტურად აფინანსებ, ამის შემდეგ შენი შეფასება დამაჯერებელი აღარ იქნება. ოპოზიცია შოკშია, რადგან იციან, რომ არჩევნებში მარცხდებიან და ამის გამო არჩევნებამდე სამი თვით ადრე, დელეგიტიმაციაზე საუბრობს.



**„კარგად იციან, რომ მათ არჩევნები წაგებული აქვთ, ხალხი მათ წაგებას ოქტომბერში დე იურედ გააფორმებს და არსებულ ხელისუფლებას დატოვებს ხელისუფლებაში“,** – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **გიორგი ვაშაძის** განცხადებით, 95 მილიონი პირდაპირი დახმარების შეჩერება არ არის მხოლოდ ფინანსური საკითხი, ამას აქვს პოლიტიკური განზომილება, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყანაზე.

**„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის თითოეული დღე ნიშნავს მეტ სიღარიბეს და მეტი ქართველის წასვლას საქართველოდან“,** – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, ცხადი ხდება, რომ როგორც აშშ-ის, ისე დღევანდელ ევროკავშირის გამოკვეთილი მიზანია საქართველოს ხელისუფლების შეცვლა და იმ ძალით ჩანაცვლება, რომელსაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტები.

**„ისმის კითხვა – რატომ? იმიტომ რომ, ფაქტია, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდნენ ისინი უკრაინაში. მოდით, გახსნილად ვთქვათ, უკრაინაში ომი მიმდინარეობს არა რუსეთ-უკრაინას შორის, არამედ მიმდინარეობს დასავლეთის გლობალური ომის პარტიას, ანუ ომის საერთაშორისო იმპერიალისტებს შორის. ამიტომ, ახლა ერთ ნაწილს ძალიან გაუჭირდა და უნდა რამენაირად ყურადღება გადმოტანილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე, რომ საქართველო ამ ომში იქნას ჩართული. ამას ვერ აკეთებენ საქართველოში დღეს და თვლიან, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, ასეთ შემთხვევაში ჩართული იქნება ომში. აი, ამას ემსახურება ის 30 მილიონი, რომელიც ევროკავშირმა ჩამოართვა ჩვენს ჯარს და გადასცა ლომჯარია-გიგაურს, ასევე ის 95 მილიონი, რომელზეც სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, თითქოსდა ეხმარებიან ქართველ ხალხს. ცარიელ ჯამში ხელს არავინ არ ყოფს. არავინ არ წარმოიდგინოს, რომ ეს გრანტები არის საჩუქარი. არა ბატონებო, ეს არის ქართველი ხალხის კისერზე დადებული თანხები.**

**ირკვევა, რომ 33 წლის განმავლობაში მხოლოდ აშშ-დან ყოფილა შემოსული 6 მილიარდი. ვინმემ დამისახელოს ამ თანხებიდან რომელი ერთი დიდი პროექტი, ქარხანა-ფაბრიკა აშენდა, რა დახმარება მივიდა თითოეული უბრალო ქართველის ოჯახამდე. ეს თანხები მიდიოდა მათივე „სუკინ სინების“ ჯიბეებში, რომელი „სუკინ სინებიც“ ძალიან არიან მომრავლებული ლომჯარიას, გიგაურის, მელიების, გვარამიების, ხაზეიშვილების და სხვა ასეთი პოლიტ-ორთვეხების სახით. რატომ? – იმიტომ რომ, ესენი წარმოადგენენ იმათ დასაყრდენს აქ, რომლებიც როგორც ხელს გაუტკაცუნებენ, ისე მოიქცევიან“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ედიშერ გვენეტაძე.

ანალიტიკოსის განცხადებით, მოულოდნელი არ იყო აშშ-ის და ევროკავშირის მიერ დაფინანსების შეჩერება და ფიქრობს, რომ მოსალოდნელია უფრო მძიმე გადაწყვეტილებები.

**„უარესებს უნდა ველოდოთ. ისინი ხედავენ, რომ ქართველი ხალხი გამოფხიზლდა საღათას ძილიდან, რომელშიც ბოლო 30 წელია, მოაქციეს. გამოფხიზლდა როგორც თვითონ ქართველი ხალხი, ისევე საქართველოს ხელისუფლება და განაცხადა, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნისო. წინააღმდეგ შემთხვევაში აგვისტოს ომი და აფხაზეთის კონფლიქტი მონაგონი იქნება, ისეთ უბედურებაში გაგვხვევენ. უფრო მეტიც, აღგვიან პირისაგან მიწისა არა მარტო ქართულ სახელმწიფოს, არამედ ქართველის სახსენებელს დედამიწაზე.** ამიტომ, სწორედ, იმ 26 ოქტომბერს ემსახურება ის 30 მილიონის შეწყვეტა და კიდევ ბევრი რამე. პირდაპირ აცხადებენ, რომ ჩვენ არსენალში კიდევ გვაქვს სხვა გეგმები, რომელსაც დროდადრო გამოვიყენებთო. ამიტომ, უნდა ვიმოქმედოთ ბალანსირების პოლიტიკით, რომლის მეშვეობითაც დგას საკითხი ასე – ქართული ეთნიკური ერთეულის და ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენა“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ედიშერ გვენეტაძემ.

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ 30, 95 თუ კიდევ მეტი მილიონით ჩვენი „დასჯა“ მხოლოდ დადებითად უნდა განვიხილოთ, რადგან ქვეყანა ვითარდება სწორი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსით და ეს არის ჩვენი გადარჩენის საწინდარი. მისი თქმით, დღეს ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა „სულის მიყიდვისთვის“ მორიგი შეჩერებული საფასური უკუვაგდოთ და ავინაზღაუროთ „დანაკლისი“ საკუთარი ძალებით მოპოვებული ფინანსური შესაძლებლობებით.



**„არავის უთქვამს, რომ ამ ბოროტი ძალის კუდის უკანასკნელი მოქნევა უმტკივნეულო იქნებოდა, მაგრამ „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია“. ჩვენ აღმოვჩნდით ფასეულობათა „მსოფლიო ომის“ ეპიცენტრში სწორედ იმ გლობალური იდეოლოგიური კრიზისის ფონზე, რომელიც ჩვენ თვალწინ არყევს დღეს კაცობრიობას და თავის მწვავე, სისხლიან ფაზაში გადასვლით იმუქრება. დიახ, ეს „ის არის“, რასაც გაფრთხილებული უნდა შეხვედროდა მსოფლიო, მაგრამ თავისი ტოტალური ურწმუნოების გამო, როგორც ყოველთვის, მოუმზადებელი ხვდება.**

**მაგრამ ყოველ „საგიჟეთში“ თუნდაც ერთი ნორმალური და ჯანმრთელი კაცი აუცილებლად მოიძებნება (მაკმერფისა არ იყოს „გუგულის ბუდეში“) და დღეს ეს მისია ჩვენს გადარეულ სამყაროში სწორედ საქართველოს ეკისრება, ზუსტად ისე, როგორც ეს წმინდა მამებმა იწინასწარმეტყველეს. ამასთან შედარებით, 30, 95 თუ კიდევ მეტი მილიონით ჩვენი „დასჯა“ მხოლოდ დადებითად უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვენი სულის მატერიალიზაციის მცდელობიდან თანდათანობითი გათავისუფლება.**

**დღეს საქართველო ღმერთის მიერ მიღებულ „ტალანტებს“ აღარც ფლანგავს და აღარც მიწაში მარხავს, არამედ ამრავლებს მათ. და, სანამ ამ შემართებას ჩვენი ხალხისა და ზეცის „სინერგია“ წარმართავს, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვაჩოქებს. სწორედ ამას არ გვპატიობენ და თავის მოკლე ჭკუით – „გვსჯიან“,** – აცხადებს დავით ქართველიშვილი.

მოამზადა

**თამთა ქარჩავა.**

**ედიშერ გვენეტაძე:**

**უარესებს უნდა ველოდოთ. ისინი ხედავენ, რომ ქართველი ხალხი გამოფხიზლდა საღათას ძილიდან, რომელშიც ბოლო 30 წელია, მოაქციეს. გამოფხიზლდა როგორც თვითონ ქართველი ხალხი, ისევე საქართველოს ხელისუფლება და განაცხადა, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნისო. წინააღმდეგ შემთხვევაში აგვისტოს ომი და აფხაზეთის კონფლიქტი მონაგონი იქნება, ისეთ უბედურებაში გაგვხვევენ. უფრო მეტიც, აღგვიან პირისაგან მიწისა არა მარტო ქართულ სახელმწიფოს, არამედ ქართველის სახსენებელს დედამიწაზე!..**



# ამქვეყნად ხომ თეთრი ნაძირალაც ბევრზე ბევრია!



**ოპოზიციისთვის სასიხარულო ინფორმაციებით დავიწყებ: გასულ კვირას პრეზიდენტმა და არასამთავრობოებმა, მედიაორგანიზაციებმა სარჩელი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გაუქმებაზე; იგივე გააკეთა 38 ოპოდეპუტატმაც. ცოტა გასაკვირი კია — საქართველოს უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეაქვთ იმ პერსონებს, რომლებიც პრინციპულად არ ცნობენ... საქართველოს უზენაეს სასამართლოს!**

ტელეკომპანია „ფორმულას“ დაქირავებულმა ყოვლად ობიექტურმა Edison Research-მა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ გამოკითხვა ჩაატარა. ნაცები სულ რაღაც 5,4 პროცენტით იმარჯვებენ („ქართული ოცნება“ – 36,6; ნაცმოძრაობა-ვაშაძე 21,5; „საქართველოსთვის“ – 8,8; ლელო და ალეკო – 6,7; გირჩი-დროა – 5 პროცენტი), მაგრამ გამარჯვება გამარჯვებაა და არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე ზეიმს ვერავის დაუშლი. მით უფრო, ტელეკომპანია „ფორმულას“ ვარაუდი იქნებ არც გამართლდეს და ვაცალოთ ხალხს ზეიმი!

აქვე მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო „ერთიანობა-ნაცმოძრაობის“ ლიდერებს თელავის ბაზარში ჩატარებული მართლაც ორიგინალური საარჩევნო კამპანიისთვის. ღვთის ნებით თუ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, იმ დღეს მეც თელავში გახლდით და პირადად მოვისმინე რამდენიმე ავტორიტეტული თელაველის აზრი ამ ნაცბაზრულ ინიციატივაზე. ძალიან გთხოვთ, მათი ნათქვამის დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ – მე ხომ თელაველი კი არა, გურული ვარ! აი, ბაზარში შავი დედლებით მოვაჭრე ქალბატონის აზრს კი სიამოვნებით გაგიზიარებთ: „იიი, რათ მინდა მაგათი ნაჩუქარი რუკები და დროშები! ხმაი ისედაც მივცემ, ოღონდაცა მაგათი აყალმაყალი ტელევიზორში აღარ დავინახო!“

ბაზის შეგონება გაითვალისწინა კი არა, ოპოზიციამ მეორე დღეს „უპარტიო“ არასამთავრობოებისა და თითქმის ყველა ოპოლიდერის მონაწილეობით თელავში უკვე მსოფლიო მნიშვნელობის „დემოკრატიის ფესტივალი“ ჩაატარა. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – საქართველოში ჩატარებული ამ ოპოფესტივალის ოფიციალური ორგანიზატორია „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (EECMD)“, ხოლო დამფინანსებელი – **„დანიის პარტიებისა და დემოკრატიის ინსტიტუტი (EECMD)“.**

ისიც საგულისხმო და მრავლისმთქმელია, რომ ჩვენი დანიელი მეგობრების მიერ ჩვენსავე საკეთილდღეოდ გამართულ ფესტივალზე ცუცქირიძე-ბოტკოველი-ვაშაძე-ხაზარაძე-გვარამია-ბოკუჩავა-გირჩიჯაფარიძე-ბადრიჯაფარიძის გარდა გამოფენილი იყო შთამბეჭდავი პლაკატი სისხლის სამართლის უამრავი დანაშაულისთვის ციხეში განმწესებული სააკაშვილის პორტრეტითა და მისი განთავისუფლების მოთხოვნით!

ფესტივალის ქართველი ორგანიზატორების განმარტებით, ღონისძიებაზე მიწვეული იყო ყველა პოლიტიკური პარტია თვით „ქართული ოცნების“ ჩათვლით.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ღონისძიება 27 ივლისს წალენჯიხაში ჩატარდა, ხოლო 10 და 17 აგვისტოს ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება.

ეტყობა, ჩვენს დანიელ მეგობრებს მაგრად შევუყვარდით და ჩვენთვის არაფერი ენანებათ. თუმცა, დანიელები ხომ ისედაც ცნობილი არიან თავისი ხელგაშლილობით.

კიდევ ერთი შთამბეჭდავი ინფორმაცია – დანიის სამეფოსა და ნაცქართველობის საყვარელმა პატიმარმა სააკაშვილმა სასამართლოში ჩვენების მიცემის ნაცვლად (უკვე მერამდენედ!) 26 ოქტომბრის არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა და თავის მომხრეებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა! მას არ ჩამორჩა „ოპოერთიანობის“ ერთ-ერთი ლიდერი პაატა მანჯგალაძე („სტრატეგია აღმაშენებელი“): **„ძალიან ცოტა დარჩა არჩევნებამდე და რეჟიმს ქართველი ხალხი გამოუტანს განაჩენს...“**

**ვიცი, ეს ამბავი ოპოზიციას, ბოდიში მომითხოვია და, ფეხებზე ჰკიდია და დიდად არც ხელისუფლებას აღელვებს, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც საინტერესოა: 1 აგვისტოს მსოფლიო კიდევ ერთხელ შეაზანზარა ოდესღაც მიშა სააკაშვილის მარჯვენა ხელმა, სახელგანთქმულმა ნაცთეორეტიკოსმა და მერე „ევროპული საქართველოს“ დიდმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ — ვინაიდან ჩემი პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე გიგი წერეთელი და პარტიის გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე ძალიან „აჩმახებენ“, პარტიას ვტოვებო.**

**ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, რას იტყვიან ამის თაობაზე ბატონი ენტონი ბლინკენი და ბატონი ლევან ხაბეიშვილი.**

გასულ კვირასვე შევიტყვეთ, რომ აშშ-ის კონგრესის ე.წ. „ჰელსინკის კომისია“ აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ენტონი ბლინკენს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს. წერილში, რომელსაც ხელს აწერენ კონგრესმენები ჯო უილსონი, სტივ კოენი, რიჩარდ ჰადსონი და მარკ ვისი, ნათქვამია: „მიგვაჩნია, რომ დადგა დრო, დაიწყოს ინდივიდუალური ფინანსური სანქციების დაწესების პროცესი საქართველოში არსებული კორუფციისა და ბოროტი გავლენის ძირითადი კერების, ბიძინა ივანიშვილისა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ. ცხადი უნდა გახდეს, რომ საქართველოში ანტიდასავლურ ელემენტებთან კავშირში მყოფი კორუფციისა და ბოროტი გავლენის მთავარი აგენტები ქართველ ხალხზე თავისუფლად ნადირობასა და მის დემოკრატიაზე სურვილისამებრ თავდასხმას ვერ შეძლებენ“.

ხელმომწერების განცხადებით, კონგრესი მზად არის, მხარი დაუჭიროს ბატონ ენტონი ბლინკენს, თუ იგი საქართველოს მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს განახორციელებს.



როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ოპოპუბლიკის გასახარად, ბატონმა ენტონი ბლინკენმაც არ დააყოვნა: „აშშ საქართველოს მთავრობისთვის 95 მილიონ დოლარზე მეტ პირდაპირ დახმარებას აჩერებს. საქართველოს მთავრობის ანტიდემოკრატიული ქმედებები და ტყუილის შემცველი განცხადებები არ შეესაბამება ევროკავშირსა და ნატოში წევრობის ნორმებს. მართალია, ჩვენ ვაჩერებთ საქართველოს მთავრობისთვის დახმარებას, მაგრამ ვაგრძელებთ ქართველი ხალხისთვის სარგებლის მომტანი პროგრამებისა და აქტივობების მხარდაჭერას“.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ამერიკელი მეგობრის განცხადების ბოლო წინადადება: „ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მეგობრობისა და პარტნიორობის 32 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, შეერთებული შტატების ხალხი საქართველოს 6,2 მილიარდი დოლარით დაეხმარა...“

ცოტა გაუგებარია, თუ აშშ დაგვეხმარა, ამ ფულს ვალად რატომ გვითვლის და უკან რატომ გვაბრუნებინებს!? თუმცა, ჩვენი მზრუნველი და მოამაგე ოპოზიციის გასახარებლად მაინც საკმარისი უნდა იყოს.

ამ სიხარულის კლასიკური მაგალითია გაპოლიტიკოსებული თაღლითის, ბატონ ხაზარაძის განცხადება – „ბიძინა და მისი „ოცნება“ საქართველოს პუტინის, „ჰეზბოლასა“ და „ჰამასის“ ამარა ტოვებს. გამოფხიზლების დროა! 26 ოქტომბერი ამათი პოლიტიკური განაჩენის დღეა!“

* * *

**მიჭირს** შეფასება, კარგია თუ ცუდი, უნდა გაგვიხარდეს თუ უნდა გვეწყინოს, მაგრამ ფაქტია – გასულ კვირას რუსეთმა და დასავლეთის ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მა, ერთმანეთში პატიმრები გაცვალეს. პრეზიდენტ პუტინს არ დაუმალავს, რომ ამ პროცესში იგი პირადად მონაწილეობდა. კაცმა რომ თქვას, სხვანაირად შეუძლებელიცაა. აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა ჟურნალისტებთან გამოსვლისას განაცხადა, რომ „რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პატიმართა გაცვლის პროცესში აშშ-ის წარმომადგენლებს პირდაპირი კავშირი რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან არ ჰქონიათ“. თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე რეპორტიორებმა აშშ-ის პრეზიდენტს ჯო ბაიდენს მიმართეს კითხვით, სურდა თუ არა მას, პირდაპირ ესაუბრა ვლადიმერ პუტინთან, რაზეც მან უპასუხა: „მე არ მჭირდება პუტინთან საუბარი“.

ჯერჯერობით ჟურნალისტებისთვის უცნობია, ჭირდება თუ არა ბაიდენთან საუბარი ვლადიმირ პუტინს.

**გასულ კვირასვე მოხდა ერთი ტრაგიკული შემთხვევა, რომელსაც დიდი ალბათობით, მძიმე შედეგები მოჰყვება – თეირანში მოკლეს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ ერთ-ერთი ლიდერი ისმაილ ჰანიე. იგი თეირანში ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე იყო ჩასული. მკვლელობა ჯერჯერობით საიდუმლოებითაა მოცული. მართალია, ისრაელი ჰანიეს ლიკვიდაციას დიდი ხანია ცდილობდა და ამას არც მალავდა, მაგრამ უცნაურია მისი მკვლელობის მეთოდი – თავდასხმის ორგანიზატორი ბავშვივით აბიაბრუებს ირანის საჰაერო თავდაცვის სისტემას და ისრაელიდან გაშვებული დრონით ან რაკეტით თეირანის სასტუმროში კლავს მსოფლიო დონის ტერორისტს!**

**ახლო აღმოსავლეთში ისედაც დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს ის ფაქტი, რომ ამავე დროს ისრაელმა ლიბანში ზუსტად განხორციელებული ავიადარტყმით მოკლა „ჰესბოლას“ ერთ-ერთი ლიდერი ფუად შუქრი (ალ-ჰაჯი მოჰსინი).**

* * *

**საქართველოს** მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, პრემიერ მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოს სახალხო დამცველს, ლევან იოსელიანს შეხვდა. განიხილეს ქვეყანაში არსებული ვითარება ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. პრემიერმა ხაზი გაუსვა სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმიანობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს ომბუდსმენის რეკომენდაციებს. თუ წინა სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიასა და საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას გავიხსენებთ, კობახიძე-იოსელიანის შეხვედრები საქართველოში, ზოგადად, მშვიდობიანი ურთიერთობების დამამკვიდრებელი პოლიტიკის საწყისად მოგვეჩვენება. ღმერთმა ინებოს!

ბარემ აქვე ვიტყვი რომ ხელისუფლების ინფორმაციით, გამოკვლეული დაახლოებით 400 არასამთავრობო ორგანიზაციიდან გამჭვირვალობის სტანდარტთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული მხოლოდ 17 მათგანია. „ბნელებს“ შორის აღმოჩნდა თინა ხიდაშელის არასამთავრობოც! ამის პასუხად, ევროპულ დემოკრატიაზე შეყვარებულმა ქალბატონმა თეონა აქუბარდიამ განაცხადა, რომ სწორედაც ბიუჯეტიდან უცხოური გრანტების ხარჯვაა გაუმჭვირვალე!

ასეც რომ იყოს, ეს არასამთავრობოების ქმედებას არანაირად არ ამართლებს; მეორეც, საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევით, ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველო მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის პირველ ადგილს იკავებს. საწყენია, რომ ქალბატონ თეონას საქართველოს მოქალაქეები (განსაკუთრებით, საკუთარი ამომრჩევლები!) გონებაჩლუნგები ჰგონია.

პარიზის ოლიმპიადა აგრძელებს მსოფლიოს გაოცებას თავისი ყოვლად მოულოდნელი სპორტული და არასპორტული ინტრიგებით.

შორს რომ არ წავიდეთ, ლეგენდად ქცეული ფრანგი ტედი რინერისა და ჩვენი გურამ თუშიშვილის ინციდენტი გავიხსენოთ. ვფიქრობ, ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტი აჰყვა რინერის პროვოკაციას და ამისთვის სამართლიანად დაისაჯა. თუმცა, აშკარა პროვოკაციული ქმედებისთვის უნდა დასჯილიყო თვითონ ტედი რინერიც. მსაჯები მართლაც უსინდისოდ მოიქცნენ და, იმედია, ამაზე ოდესმე ოლიმპიურ კომიტეტშიც იმსჯელებენ.

**ტედი რინერის არაკაცურ საქციელს ყველაზე მტკივნეული გამოხმაურება საქართველოში მოჰყვა და ამაში გასაკვირი და საძრახისი არაფერია. გასაკვირი და საძრახისია ჩვენი, გურამ თუშიშვილის თანამემამულეების აშკარად ნაცისტური გამოხდომები — ჩემო ძვირფასებო, ი ოხერი ტედი რინერი იმიტომ არის ნაძირალა, რომ ქვეყნიერებას ასეთად მოევლინა, ღმერთმა ასე ინება. მისი კანის ფერი, და „მონური“ აფრიკული წარმომავლობა არაფერ შუაშია. კაცის საქციელის ამგვარი შეფასება არ გვეკადრება — ამქვეყნად ხომ ქერა და ცისფერთვალება ნაძირალაც ბევრზე ბევრია!**



**თეიმურაზ ქორიძე**
04. 08. 2024

# ოი, დედანო, მარად ნეტარნო...

## 100 წლის იუბილემდეც რაღა დარჩა!..

**„ეს ქალბატონი აფხაზეთის სავიზიტო ბარათიაო“, – არაერთ ცნობილ სოხუმელს უთქვამს თათუშა შურღაია-თორდიაზე, ქალბატონზე, რომლის ცხოვრების გზაც ზუგდიდიდან დაიწყო.**

თათუშა შურღაია-თორდია ოდიშის სწორედ ამ გამორჩეულ ქალაქში დაიბადა ჯიხაშკარელი ლოლა ანთელავასა და ზუგდიდელი ბუდუ შურღაიას თითით საჩვენებელ ოჯახში. საუკეთესო პიროვნული თვისებებიც ოჯახიდან გამოჰყვა. 1944 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და ამ უპირველეს ცოდნის ტაძარში იურიდიულ მეცნიერებასთან ერთად მაღალ ადამიანურ ფასეულობებს ეზიარა.

ქალბატონი თათუშა უნივერსიტეტში არა მხოლოდ კარგად სწავლობდა, არამედ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლშიც (ხელმძღვანელები: საქართველოს დამსახურებული ლოტბარი – ბიჭიკო გველესიანი, კომპოზიტორი – მიხეილ ჩირინაშვილი) არაჩვეულებრივად ცეკვავდა და მღეროდა.

მშვენიერი გარეგნობით, წარმატებული სწავლით, მოხდენილი ცეკვითა და გულში ჩამწვდომი სიმღერით გამორჩეულმა ქალიშვილმა ადვილად დაიპყრო თანაკურსელის, ასევე სამეგრელოს მკვიდრის – ზუგდიდელი ვალერიან თორდიას გული. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ორივენი სამუშაოდ სოხუმში მიავლინეს. ზღვისპირა ქალაქში ახალგაზრდები მალე დაქორწინდნენ. სამი შვილი შეეძინათ: **ვახტანგი,** მშობლების კოლეგა – იურისტი, სამართლის დოქტორი, **დოდო** – ექიმი და **მალხაზი** – მედიცინის დოქტორი.

თათუშა შურღაია-თორდია 1949-1952 წლებში ქ. სოხუმში ნოტარიუსი იყო, 1953 წლიდან 1993 წლამდე – ადვოკატი. ამავდროულად 1977-1990 წ.წ. მუშაობდა ქ. სოხუმის აღმასკომის იურისტად. საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით ლექციებს კითხულობდა აფხაზეთის წარმოება-დაწესებულებებში.

დრომ თანდათან ცხადყო, რომ ადვოკატობა – ადამიანის უფლებების დაცვა, სწორედ ქალბატონ თათუშას საქმე და მოწოდება იყო. ბუნებით სათნო და კეთილშობილი, სამართლიანი ქალბატონი, სხვაგან სად უნდა „დახარჯულიყო“, თუ არა სწორედ ამ სფეროში.

მისი პროფესიული ალღო სამსახურის დაწყების პირველსავე დღეებში გამოიკვეთა, როცა გუდაუთაში უყოყმანოდ წავიდა საქმეზე, რომელსაც სხვები თავს არიდებდნენ. ამ არჩევანით საკუთარი სამოქმედო პრინციპიც გააცხადა: სიძნელეების წინაშე უკან არ დაიხევდა და თავისი დაცვის ქვეშ მყოფს განსაცდელში არ მიატოვებდა.

პატიმრებთან მოსაკითხის გარეშე არასოდეს მისულა, კარგად იცოდა, რომ მათთვის მიტანილ თუნდაც ერთ კოლოფ სიგარეტს თანადგომის ფასი ჰქონდა და არა კაპიკებით ან მანეთებით გამოხატული ღირებულება. მას არასოდეს ერეოდა ერთმანეთში აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი და განზრახ ჩადენილი დანაშაული. მართლმსაჯულებასაც სასამართლო პროცესზე კომპეტენტური, მაღალპროფესიული გამოსვლებით არაერთხელ დახმარებია სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. ის ყველაფერს აკეთებდა, რათა დამნაშავისთვის მონანიებისა და გამოსწორების შანსი მიეცა. ამიტომაც მიიჩნეოდა ყველა მსჯავრდებულისთვის საიმედო და სასურველ ადვოკატად.

აფხაზეთის ომმა მის ცხოვრებაშიც ყველაფერი შეცვალა, ვალერიან თორდიამ, აფხაზეთში ცნობილმა პიროვნებამ, იურისტმა და მოსამართლემ ომს თითქოს ერთი ფეხით გაასწრო იმქვეყნად. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1992 წლის მაისში გარდაიცვალა.

აფხაზეთის დატოვების შემდეგ ქალბატონ თათუშას საყვარელი ქალაქიდან მოუშუშებელ იარად გამოჰყვა სოხუმში დარჩენილი მეუღლის საფლავიც.

თბილისში ისევ ნოტარიუსად დაიწყო მუშაობა. თათუშა შურღაია 50 წელიწადი სხვათა უფლებებს იცავდა და მოგვიანებით ამაგდარი ადვოკატის საქმიანობა სათანადოდ დაფასდა: ის ღირსების ორდენით დააჯილდოვეს და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრობა მიანიჭეს.

მკაცრი, მომთხოვნი და ამავე დროს სამართლიანი და გულმოწყალე დედა – ასე ახასიათებს ქალბატონ თათუშას მისი უფროსი შვილი, ცნობილი იურისტი, აფხაზეთის მართლმსაჯულების აღიარებული მოღვაწე ვახტანგ თორდია და თავს უყრის იმ ბრძნულ გამონათქვამებსა და შეგონებებს, რომლითაც დედა შვილებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მოძღვრავდა:

**„ნებისმიერ საქმეში თუ გულს არ ჩადებ და ბოლომდე არ დაიხარჯები, მნიშვნელოვან წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია“.**

**„ერთი სანთელი მტრისთვის დაანთე, რამეთუ ის გაღვიძებს და გაიძულებს, მუდამ იფხიზლო და ფორმაში იყო“;**

**„არავინ ცემო, მაგრამ ნაცემი შინ არც შენ მიხვიდე“.**

**„შვილი მტრულად გაზარდე და მოყვრულად გამოგადგება“...**

აღზრდის ეს მეთოდები და პრინციპები, ცხადია, შვილიშვილებზეც გავრცელდა და ქალბატონმა თათუშამ დიდი როლი შეასრულა შვილიშვილების: თამუნას, ნინოს, ვალერის, გიორგის, პეტრეს ჩამოყალიბებაში. თავისი სიტყვა თქვა ასევე მალხაზის გოგონების – ლოლასა და ანის, ვახტანგის პატარების – თათულისა და ვატულის, შვილთაშვილების – მარიამისა და დათოს, ლიზისა და ნიკუშას აღზრდაშიც.



ქალბატონი თათუშა სამართლიანად ამაყობს თავისი ღირსეული შთამომავლობით, რომლებმაც სულ ახლახან მისი დაბადების 97 წლისთავი აღნიშნეს.

**100 წლის იუბილემდეც რაღა დარჩა, სულ სამიოდე წელიწადი და დიდი დღესასწაულიც შედგება...**

**ღმერთო, შენ აღუსრულე ღირსეულ მოღვაწეს, დედას და ბებიას საუკუნის თვალხილული უკვდავება!**

**ის ხომ ყველასთვის საყვარელი, ლეგენდარული ქალბატონი თათუშა შურღაია-თორდიაა!**

**ნატო კორსანტია**

---

# დავგმოთ ცინიკური აქტი!

**საზოგადოება „ქართული“: პარიზის სკანდალის ფონზე გამოჩნდა... რომ აღარ არის მოვლენების შორიდან ცქერის დრო, ყველამ უნდა გამოვიჩინოთ სამოქალაქო სიმტკიცე, დავდგეთ იდენტობისა და მშვიდობის დაცვის სადარაჯოზე**

საზოგადოება
ქართული

**საზოგადოება „ქართული“ პარიზის ოლიმპიადის გახსნასთან დაკავშირებით ასეთ განცხადებასავრცელებს.**

„გვინდა, გამოვეხმაუროთ პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას, რომლის სკანდალის ექო სერიოზული განსჯისა და ფიქრის საგანია მთელ მსოფლიოში. ამ, ერთი შეხედვით, „უწყინარი“ მხატვრული ინტერპრეტაციით საერთაშორისო რადიკალურმა ნეოლიბერალურმა ძალებმა დიდი პროვოკაცია მოაწყვეს და კიდევ ერთხელ მოსინჯეს მსოფლიო საზოგადოების მზაობა ე.წ. ლგბტ იდეოლოგიის მიმღებლობისადმი. არ დარჩენილა მსოფლიოს არც ერთი კონფესია, რელიგიური ლიდერი და სერიოზული პოლიტიკოსი, რომელიც არ გამოხმაურებოდა და არ დაეგმო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ეს ცინიკური აქტი, რამაც აიძულა რადიკალები, ბოდიში მოეხადათ. მაგრამ რადიკალებმა მიაღწიეს მთავარს, საჯაროდ და გამომწვევად გააშარჟეს დიდი რელიგიური საიდუმლო და დაშვებულ ქცევის მისაღებ ნორმად წარმოაჩინეს ქრისტიანობის დაცინვა და შეურაცხყოფა.

ამას, წლებია, არანაკლებ „წარმატებით“ და გამომწვევად აკეთებს სხვა, არანაკლებ პოპულარული საერთაშორისო ევროპული პლატფორმა – ევროვიზია, რომლის კონკურსებიც ბოლო წლებში სატანიზმისა და ლგბტ პროპაგანდის ასპარეზადაა ქცეული. ამას არ უნდა შეეგუოს დიდი ქრისტიანული სამყარო.

დღეს ჩვენ, როგორც მსოფლიოს განუყოფელი ნაწილი, უშუალო მონაწილენი ვართ იმ გლობალური ისტორიული პროცესის, რომელშიც ნეოლიბერალურ და კონსერვატიულ ძალებს შორის გადამწყვეტი ომი მიმდინარეობს და ეს ომი, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებებზე გადის. რადიკალურ ნეოლიბერალურ ძალებს არაფერი აქვთ ახალი შესათავაზებელი მსოფლიოსთვის და იმისთვის, რომ დაძლიონ საკუთარი იდეოლოგიური, კულტურული და სულიერი კრიზისი, ცდილობენ საზოგადოებების გათიშვით, პროცესების რადიკალიზაციითა და მსოფლიოში ომების გაჩაღებით აიცილონ ისტორიის მიერ მათთვის გამოტანილი განაჩენი.

ამ ბრძოლაში მათთვის უმცირესობები მხოლოდ ინსტრუმენტია და არა მიზანი. სავსებით სამართლიანი ბრძოლა უმცირესობის უფლებებისთვის და მათზე ძალადობის აღსაკვეთად ნეოლიბერალური რადიკალების ხელში იქცა უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილებისა და ტრადიციულ ინსტიტუტებთან ბრძოლის ეფექტურ იარაღად. ამ შემთხვევაში უმცირესობა და მათი იდეოლოგია მხოლოდ საშუალებაა რადიკალებისთვის, რათა ამ სენსიტიური თემით მძევლად ჰყავდეთ აყვანილი ჰუმანიზმსა და სამართლიანობაზე ორიენტირებული მსოფლიო საზოგადოება“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ გლობალური იდეოლოგიური ომი საქართველოშიც ისეთივე აქტუალური და მწვავეა, როგორც მთელ მსოფლიოში.

როგორც საზოგადოება „ქართულში“ აცხადებენ, „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა უკვე მოახდინა ყველა საერთაშორისო თუ მათი მოკავშირე ადგილობრივი ძალის და ინსტიტუტის გამჭვირვალობა, ვინც რეალურად ქართულ იდენტობასა და სუვერენიტეტს ებრძვის.

„იქაც და აქაც რადიკალების ხელწერა ერთია: საზოგადოების დაყოფა, მთავარიდან ყურადღების გადატანა მეორეხარისხოვანზე, განსხვავებული აზრის მიუღებლობა, მანიპულაციები და დაშინება და, რაც მთავარია, სიძულვილის ენა. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ტელევიზიები, პრესა და სოციალური ქსელები წალეკა ურთიერთსიძულვილის, რეალური ავტორიტეტების დაუმსახურებლად განქიქების, ადამიანის ღირსების შელახვის, უნიჭობის მოდად წარმოჩენისა და ნიჭიერების „დაბულინგების“ ტოქსიკურმა ატმოსფერომ.

ფაქტია ისიც, რომ ურთიერთმტრობა და რადიკალური საზოგადოებრივი პოლარიზაცია წახალისებულია და მართულია გარედან მსუყედ დაფინანსებული ისეთი ორგანიზაციების ხელით, რომლებიც ერის გახლეჩაზე, მისი იდენტობის წაშლაზე, ქართული ეკლესიის დისკრედიტაციაზე, ქართული ღირებულებების ლგბტ იდეოლოგიით ჩანაცვლებასა და ამის მიმღები გადაგვარებული „ახალი ქართველის“ გამოყვანაზე არიან ორიენტირებულები.

„გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა უკვე მოახდინა ყველა იმ საერთაშორისო თუ მათი მოკავშირე ადგილობრივი ძალის და ინსტიტუტის გამჭვირვალობა, ვინც რეალურად ქართულ იდენტობასა და სუვერენიტეტს ებრძვის. არანაკლები მნიშვნელობის იქნება ქვეყნისთვის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება. ვინც დღემდე ფიქრობს, რომ ეს კანონი ნაადრევია და დაგვაშორებს ევროპას, მათ მოვუწოდებთ, რეალურად შეხედონ მოვლენებს და გაითვალისწინონ პარიზის ინციდენტის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ ყველა დასავლური მოვლენის გაფეტიშება და უკრიტიკოდ მიღება არის დამაზიანებელი, ხოლო შემგუებლობა ე.წ. გენდერული იდეოლოგიისადმი – კონტპროდუქტიული. ეს არაა ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობები, რომელსაც ცალკეული დასავლელი პოლიტიკოსები ქადაგებენ და არა მთელი ცივილიზებული დასავლური სამყარო.

პარიზის სკანდალის ფონზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ აღარ არის მოვლენების შორიდან ცქერის დრო. ყველამ უნდა გამოვიჩინოთ სამოქალაქო სიმტკიცე და დავდგეთ იდენტობისა და მშვიდობის დაცვის სადარაჯოზე, რადგან, ერთი მხრივ, მეორე ფრონტის და, მეორე მხრივ, აგრესიული ლგბტ იდეოლოგიდან მომდინარე საფრთხეები საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და ამ ორ საშიშროებასთან გამკლავების გარეშე ვერც ტერიტორიულ მთლიანობას აღვიდგენთ, ვერც ევროკავშირის წევრები გავხდებით, ვერც სახელმწიფოებრიობას შევინარჩუნებთ და ვერც ქვეყანას გადავარჩენთ და განვავითარებთ“!..



**„ჩიტი ბდღვნად“ არ ელირებოდა, „ჩხუბის“ მერე ხელს არც მე გავიქნევდი, საკბენად აშლილი, ნაირ-ნაირი, მორიელ-ბუზანკლების „სპეცრაზმები“,ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას რომ არ ანგრევდნენ და ისტორიულ მეხსიერებას „ალცჰაიმერით“ არ აავადებდნენ.**



ვანო ჩხიკვაძე

# სიბნელის ხელმწიფება

**ქალბატონო პრეზიდენტო!**

თქვენს ხელდასხმულ რუსთაველის პრემიების მიმნიჭებელ კომისიას, „ძალად“ რომ არ „ავეტეხე“, გგონიათ, ძალიან „მეშაირებოდა?“

შედეგები რატომღაც აქამდე არ გასაჯაროვებულა, თუმცა, ჩვენს ქვეყანაში რა დაიმალება – „დეტალებმა“, მაინც გამოჟონა!

რატომ დუმხართ, როდემდე უნდა „გედოთ შუბი ხალთაში“, რას ელოდებით?

ბრმას ცოლი მოუკვდა და, ნუ ვეტყვით, ბრმაა და მაინც ვერ გაიგებსო.როდემდე დაუმალავთ, მაშინ ხომ მაინც შეიტყობს, გვერდით რომ არ მიუწვებაო!

ახლაც, „ბრმას“ როცა „ჩაუკაკლეს“, „ცოლს“ რაც დაემართა, რა ქნას, ხმაც აღარ ამოიღოს?

ბარაქალა, კომისიის რამდენიმე წევრს თუ არ ჩავთვლით, „ერთსულ“ და „ერთხორც“უმრავლესობის ისეთი „თაიგული“ შეგიკრავთ, რომ საგანგებო დავალებათა შემსრულებელ „სპეცრაზმსაც“ შეშურდება.

ძალიან კი უყოჩაღიათ –მოკლე დროში, „შაჰნამეს“ თარგმანის მრავალტომეულს, რამდენიმე მწერლის შემოქმედებას და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმოდგენილ ხელოვანთა მასალებსაც გასცნობიან და თავიანთი პირუთვნელი აზრიც დაუდიათ. შედეგებმა ისიც დაადასტურა, რომ როგორც ორი წინამორბედი პრეზიდენტის გემოვნებით შერჩეული ანალოგიური კომისიები, თქვენი საპრემიო ჟიურიც დიდად არ სწყალობს თანამედროვე ქართველ მწერლებს.

და თუ ფირდოუსის „შაჰნამეს“ მთარგმენლისთვის პრემია მაინც გამოიმეტეს, იმიტომ არა, რომ მისი მრავალწლიანი შრომა დააფასეს (დაიდონ გულზე ხელი – თუკი აქვთ, რა თქმა უნდა, და აღიარონ, –წაკითხვას ვინ ჩივის, ტომეულები გადაფურცლეს მაინც?!). ალბათ, უფრო უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსთაველის მარტივად ასახსნელ მიზეზთა გამო დაშიფრული ნათქვამი, „ესე ამბავი სპარსული“, მართლა სპარსულიდან „ნათარგმანები“ ჰგონიათ და ამითიც ფირდოუსს უფრო გაუგორეს „კოჭი“!



ქალბატონო პრეზიდენტო!

როგორი „ჟამიც“ არ უნდა იყოს და „სიბნელის ხელმწიფება“, მაინც არ შეიძლება „კეისარს ეჭვმიტანილი ცოლი ჰყავდეს“ – არ უნდა აკადრო და დიდი რუსთაველის პრემია, უპასუხისმგებლო, (მეტი რომ არ ვთქვათ!) „სპეცრაზმის“, „ხელიხელსაგოგმანებლად“ აქციო.

რა ვქნა, ვერ მოგიწონებთ არჩევანს!

მხოლოდ იმიტომ არა, ზარებს განაწყენებულის სამრეკლოდან რომ ვრეკავ: მერწმუნეთ, პირადულზე უფრო აღმატებულია ჩემი აღშფოთების საფუძველი, თორემ განა არ ვიცი „წიხლი“ ვისგანაც უნდა მეწყინოს,ვაჟასი არ იყოს: „სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ, დამხშობი მზის და მთვარისა, სამშობლოს დამამხობელი და გამომჭრელი კარისა.“

„დავალება“ წარმატებით რომ შეასრულეს, ამის დასტურს, ქვემოთ იხილავთ – თქვენმა რჩეულებმა, მხოლოდ მე კი არა, ქართული საზოგადოებისთვის ძვირფას სახელებსაც „მიუჯახუნეს კარი!“

რატომ, რა მიზეზით, არ არის საინტერესო?

**„ღრმა შინაარსის მქონე მისი პოეზია და პროზა ადამიანებს საკაცობრიო ღირებულებებზე ფიქრისთვის განაწყობს და ღირსეულ პიროვნებად მათ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.ღმერთმა დალოცოს ბატონი ვანო (იოანე) და კვლავაც მისცეს ძალა ღვთისა და მოყვასის ერთგული მსახურებისთვის“ – ილია II.**

**„ძმაო და ბატონო ვანო, რა კარგი პოეტი ხარ და პროზაც რა ლაზათიანად მოგდევს!**

**გულწრფელად გეტყვი, შენი ჭეშმარიტი ფასი, როგორც დიდი ქართველი მწერლისა, მომავლის საქმეა! სინამდვილეს ამის ილაჯი არ გააჩნია!.. ამისთვის იღვწი, მამული, ენა, სარწმუნოება გინთია სანთლად!“ ჯაბუა ამირეჯიბი.**

**„მივესალმები იმ ფაქტს, თუ ნოველა „კოხტა თამრო“ შეტანილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოში, როგორც „ოთარაანთ ქვრივია“ მარადიული ხატი ქართველი ქალისა, ასევე, უკვდავყოფილი იქნება ვანო ჩხიკვაძის „კოხტა თამრო!“ – ვახუშტი კოტეტიშვილი.**

**„ვანო ჩხიკვაძის ნაწერს როცა ვკითხულობ, ლექსი იქნება ეს თუ მოთხრობა, ჩემში მუდამ რაღაც მშობლიური იღვიძებს, ერთხელ უკვე განცდილი და მისი ნაწერით კვლავ ამოტივტივებული...“ – გივი გეგეჭკორი.**

**„შენ დიდი და საინტერესო წიგნების ავტორი ხარ უკვე, პროზაშიც და პოეზიაშიც, მათი წამკითხველი და დამფასებელი წინ გელოდება...“ – დავით მჭედლური.**

**„სიტყვის აღიარებულ ოსტატებს ღირსეული მემკვიდრეები გამოუჩნდნენ, მათ შორის ერთი პირველთაგანია ვანო ჩხიკვაძე...“ ჯანსუღ ღვინჯილია.**

**„თუ ვანო ჩხიკვაძის პოეტურ მანერაზე ვილაპარაკებთ, მე მას შევადარებ აკვარელის ფერწერას“ – ჯანსუღ ჩარკვიანი.**

**„ჩემთვის „წერის საღერღელის“ აშლილთა შორის, ერთ-ერთი პირველია ვანო ჩხიკვაძე. ფურცლავს ჩვენი ყოფიერების უღრმეს შრეებს ავტორი და არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ზოგჯერ, უნებლიედ ყელში ცრემლები მოგებჯინება და აღმუვლდები კიდევაც...“ – გივი გერაია.**

**„ქართულმა ესტრადამ, რომელიც ქართული ლექსის ტრადიციული ჭირისუფალია, „დეკემბერი, დეკემბერი“ აქცია საერთო ეროვნულ, სახალხო სიმღერად... ბრწყინვალე ფსიქოლოგიური მოთხრობაა „ორმო.“ მისი პროზა პოეტის პროზაა, იმავდროულად დაკვირვებული კაცის ტკივილიანი პროზაა – უდიდესი ინტერესით იკითხება რომანი „შუშების ომი“... ვახტანგ დავითაია.**

**„ვანო ჩხიკვაძე იმ მწერალთა შორისაა, რომლებსაც „არ ავიწყდებათ“ ლექსისთვის საჭირო ვნება და წერს მაშინ, როცა სტკივა და ეს ტკივილი სიცოცხლის ჭეშმარიტ არსს შეამცნებინებს“ – მაია ჯალიაშვილი.**

**„ვანო ჩხიკვაძეს შეუძლია გააცოცხლოს, გააადამიანოს ბუნების მოვლენები, ამიტომ მის ლექსებში განუყოფელია ადამიანი და ბუნება, ადამიანი და სამშობლო“ – არტურ იშანოვი (გაზეთი „ვეჩერნაია ალმა-ატა“)**

**„ვანო ჩხიკვაძის ლექსებს რომ კითხულობ, ხვდები, სამყარო არასოდეს დაკარგავს პოეტურობას... ყოველი ლექსი გულიდან არის გამოტანილი, გულის სისხლით არის დაწერილი, ამიტომ არის, ერთდროულად, მძაფრიც და მშვენიერიც, ემოციური, საგულისხმო, მტკივნეული და გასაგები“ – ივანე ამირხანაშვილი.**

**„მურმან ლებანიძე წერდა – (გალაკტიონის გამღმერთებელი!) პოეტური არმიები რომ შექმნილიყვნენ, მე ტიციანის არმიაში ვიქნებოდიო („წამიძეხ სანთლით და ჩამრიცხე შენს ამალაში“).**

**დარწმუნებული ვარ, ვანო ჩხიკვაძეც იმ არმიაში იქნებოდა, ტიციანთან და ლადო ასათიანთან ერთად“ – სოსო ჭუმბურიძე.**

**„ნუგზარ საჯაიას პიჯაკის ჯიბეში პოეტ ვანო ჩხიკვაძის უსათაურო ლექსი იდო. ოფიციალური ვერსიის თანახმად, მას სიკვდილის წინ არანაირი ბარათი არ დაუწერია, თუმცა, წინამდებარე ლექსი არანაკლებ მეტყველია, ვიდრე ბარათი, რომელსაც ნუგზარ საჯაია დაწერდა“ – („არაპოლიტიკური გაზეთი“ 2002).**

* * *

**ქალბატონო** პრეზიდენტო, ეს ყველაფერი წარმოდგენილ საკონკურსო ლექსების წიგნს თან ერთვოდა და, დავიჯერო, რომ ცალი თვალი მაინც არ გადაავლეს?

რა ვქნათ, გავაგრძელოთ „მოწმეთა“ ჩვენება?

უფრო მეტი, აღმატებული, რა უნდა ეთქვათ ან მოემოქმედათ, ჩემდამი მოძღვნილი წერილების ავტორებს, რომ საპრემიო კომისიის უმრავლესობის გული მომეგო?განა შეუძლია ბრმას ბრმის მეგზურობა? – ვისი რჩევით გამოჩხრიკეთ, ნდობით აღჭურვეთ ამდენი თვალთმაქცი და მწიგნობარი ფარისეველი?! თქვენს ყოფილ ამომრჩეველს, რატომ მაფიქრებინებთ, რომ თქვენი „მოღვაწეობის“ დამაფიქრებელი, საეჭვო „აქცენტები“ სრულ თანხვედრაშია თქვენს ჩიქორთულ ქართულთან?„მათ სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანეთის მონება“ – ნუთუ თქვენი წინამორბედი პრეზიდენტები, როგორი ტარიელი და ავთანდილიც გამოდგნენ, თქვენც ისეთი „ასმათი“ ბრძანდებით?

არ დავკვირვებულვარ, რამდენადგილიანია რესპუბლიკის მოედნიდან გაძევებული დავით აღმაშენებლის ძეგლის ნაცვლად „დემოკრატიის შუქურას“ დატოვებული ველოსიპედი?

(ამ თავხედურმა აქტმა, მის ავტორს, ჩვენი დროის გამოჩენილ მოქანდაკეს სიცოცხლე მოუსწრაფა).

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს გამბედნიერებელ ბოლო სამ „გვირგვინოსანზე“ მეტი, საეჭვოა, რომ დაიტიოს!

მეოთხეს, მათ მსგავსსა და ალი-კვალს, ვეღარ გაუძლებს, ვერც ველოსიპედი და ვერც ქვეყანა!

„კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი.“

დასვრის უგულობაც, უპირობაც და უმადურობაც!

სულხან საბას დაძმობილებულ კუს და მორიელს გზაზე „გასავლელი წყალი დახვდათ.“მორიელს ცურვა არ შეეძლო და კუ ხომ არ მიატოვებდა, ზურგზე შეისვა, რომ მეორე ნაპირზე გადაეყვანა.

შუა წყალში მორიელმა ზურგზე კბენა დაუწყო.„კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო?

მორიელმა უთხრა: რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს უნდა ვუკბინოთო.“

რაც მორიელს კუმ დამართა, მტერსაც არ ვუსურვებ, მაგრამ ეს არ არის მთავარი –შეიძლება რომელიმე „სპეცრაზმელი, ჩემს შემოქმედებაზე განსხვავებული, დადებითი აზრისაც იყოს, მაგრამ რა ქნას, მორიელთა მოდგმის ჩვეულებას ხომ ვერ უღალატებს. იგავმა ის კაციც გამახსენა, როგორც სულხან საბას „კუმ“ უკანასკნელ წლებში, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, არაერთი „ცურვის უცოდინარი“ რომ შეისვა ზურგზე, ბედსა სწია, მაგრამ როგორც კი თავისი დაიმჯობინეს, მორიელის „ხელობა“გაიხსენეს და მად-

**„კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი...“**
**დასვრის უგულობაც, უპირობაც და უმადურობაც!**

ღიერების ნაცვლად „კზენა“ დაუწყეს.

რას ვიზამთ, „როდის ყოფილა“ კეთილისმყოფელი „შეეწყნარებინოთ თავის მამულში!“

ისევ ჩვენს სათქმელთან მოვიდეთ:

სხვათა შორის, რადგან თქვენთვის ფრანგული ქართულზე მეტად თუ არა, არანაკლებ მშობლიურია, მინდა იცოდეთ, რომ ცხონებულმა გასტონ ბუაჩიძემ ჩემი ლექსები თარგმნა და მსოფლიოს გამოჩენილი პოეტებისადმი მიძღვნილ, ბელგიაში გამოცემულ ფრანგულენოვან ჟურნალში გამოაქვეყნა.

ეჰ, ფრანგებივით რომ გაგვმართლებოდა, ფრანსუა მიტერანის მსგავსი მწერლობის დამფასებელი პრეზიდენტი ჩვენც გვეყოლებოდა.

მიტერანმა ფრანგული პოეზიის ანთოლოგია შეადგინა და ვრცელი საყურადღებო წინასიტყვაობაც დაურთო.

ანთოლოგიას ვინ ჩივის, თქვენს დაკომპლექტებულ კომისიაში, მართალია რამდენიმე ღირსეული მოღვაწეც მოხვდა, მაგრამ სასწორის მეორე მხარეს ისეთი „მრავალხმიანი“ სიმძიმე დააწონეთ...

„ჩიტი ბდღვნად“ არ ეღირებოდა, „ჩხუბის“ მერე ხელს არც მე გავიქნევდი, საკბენად აშლილი, ნაირ-ნაირი, მორიელ-ბუზანკლების „სპეცრაზმები“,ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას რომ არ ანგრევდნენ და ისტორიულ მეხსიერებას „ალცჰაიმერით“ არ აავადებდნენ.

რა ქნას „პეპელამ“, ხან დინების საწინააღმდეგოდ ცურვისთვის თითს რომ გვიქნევენ, ხან – პირიქით, პირდაღებული დათვის ხახისკენ გვიბიძგებენ?!

ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს „სეტყვის ღრუბელი“ საიდან წამოვა, დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, შედეგი ხომ ერთი და იგივე იქნება?!

გამოღეჭილ-გამოცოხნილ ჰალსტუხის სიმბოლიკით დამშვენებულ „ცხრაწლედის“ „შთაგონებით“ დაწერილ ლექსში, ასეთი სტრიქონები მაქვს:

**„ცრუპენტელოზს ეკრანი,**
**რომ ერთხელაც დაიგნე,**
**სადაც არის შიშველი**
**ჩვენი მეფეც გაირგენს...**
**ისე დაიფხორება ჩვენი დროის გენია,**
**საქართველოს იღბლისთვის**
**ვითომ არ ურქენია!..**
**ჩვენი მატარებელი არ წასულა არსაით,**
**თურმე დროის ხახაში**
**გაჩხერილა ფხასავით,**
**ყალბი სამეფოები რიგრიგობით ქრებიან,**
**ასეთ საქართველოზე მე არ მიოცნებია!“**

„მოუოხეთ ბატონებო!“

გასაოცარია, მამულის გამსხვისებელს როგორ უფრთხილდებიან, ცოდვები რომ „გაუპრავონ“, უკრაინულმა „არაჟანმა“ და რუსულმა „ხიზილალამ“ გული არ მოუყირჭოს! „შეშფოთებისა“ და „დემოკრატიული ღირებულებების“ მეორადი, ნახმარი გამონაცვალით გაჭერდა „ბაზარი“, გაივსო „დახლები“, „საწყობები“, „კარადები“, „თაროები“ ყელში ამოგვივიდა, მაგრამ ვინ გვაკითხებს, გვინდა თუ არა, „თავისუფლება“ ამ სახით, ამ ფორმით, ამ შინაარსით!

იმის ნაცვლად რომ დაღლილ, დაქანცულ, გაბეზრებულ სამშობლოს უშეღავათონ, უფრო მაღალი „დონის“ „სპეცრაზმები“ სადგურის მეისრეებივით ფხიზლობენ, რათა „შეშფოთების კამუფლაჟით“ შენიღბული „ღირებულებები“, ილიას მონიშნულ ქვაკუთხედებს – „მამული, ენა, სარწმუნოება“ –არ წამოედონ!

„ფასეულობებს“, თავისი საეჭვო „შიგთავსით“, თავად დასავლეთშიც სუნი დაეცა, მაგრამ იმის უფლებაც არ გვაქვს, გვერდზე შევბრუნდეთ ანდა ცხვირზე ხელი მაინც მივიფაროთ!

ოჯახებში ნაირნაირი საინფორმაციო საშუალებებით, „ფართის უფლებით“ ჩაგვისახლდნენ ამ „ღირებულებათა“ მოძალადე პროპაგანდისტები, გაუთავებლად მოპაექრე პარტიები, ნახმარი კარტის „ცვეტივით“ გაცვეთილი სახეებით, სხვადასხვა მრწამსისა და ზნეობის „ცრუ კეთილისმყოფელთა“და მექრთამე ლობისტთა მიერ წაქეზებული „მორიელთა“ ბანდები.

განა არ იცით, ეროვნული ტრადიციების,ფასეულობათა შემნახავ, უკანასკნელ ციხე-სიმაგრეს – ოჯახს რატომაც ებრძვიან – „მწყემსს უნდა დასცხონ, ფარა რომ დაიფანტოს“.ქალბატონო პრეზიდენტო, მგონი იმის შეხსენება არ უნდა გჭირდებოდეთ, რომ დღეს, როგორც არასდროს, საიმედო, ერთგული საყრდენი გვესაჭიროება და არა ვითომ საშველად შემოჩეჩებული მყიფე თანადგომის ყავარჯენი, რომელიც არ ვიცით სად, როდის და რომელ „ზიგზაგებიან“ გზაწვრილზე გვიღალატებს.

* * *

**ეს საყრდენი, უპირველესად, ილიას მონიშნული გზაა,როგორც ზემოთაც ვთქვი, სამი მთავარი ქვაკუთხედით რომ იწყება: „მამული, ენა, სარწმუნოება!“**

**სრულიად ახალგაზრდა მეფე დემეტრემ სამშობლოს გადასარჩენად მონღოლს კუნძზე დაუდო თავი!**

**სად გაქრა ის სული, პასუხისმგებლობა, მავანი ტახტზე იმიტომ ხომ არ დავაგრძანეთ, რომ თავისი სიამოვნებისთვის ერთი „ადგილი“ ანებივროს?!**

**ეჰ, რითი დავიწყეთ და სად მოვედით!**

**ვიღას ახსოვს კიდევ ერთი, საპრემიო „შოუს“ ფიასკო!**

რა ვქნათ, ჩვენს ნაირნაირ, აურაცხელ პრობლემებს, ღრმად ფესვგადგმული, ერთმანეთზე გადაჯაჭვული „მეტასტაზები“ აქვთ.

კიდევ ერთი, უბის წიგნაკის 2009 წლის ჩანაწერის ამონარიდით უნდა შევაწუხო თქვენი ყურადღება, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჩემი „მცირე პროზის“ კრებულში დაიბეჭდა:

„დღეს, ძველით ახალ წელს, სოსო კეჭაყმაძემ დამირეკა – გაეხარდა, ხმაზე მაშინვე რომ ვიცანი.

„ჩვენს მწერლობაში“ წაუკითხავს ჩემი ნოველები.

აღფრთოვანებული მელაპარაკა, თან თავი უხერხულად რომ არ მეგრძნო, გამაფრთხილა,

– ვინც მიცნობს იცის, რომ ტყუილი ქებადიდება არ მეხერხებაო.

განსაკუთრებით ნოველა – „ცოდვის შვილები“ მოსწონებია...

მე თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემელი ვარ და, ეს ბოლო ნოველებიც ისეთია, არ მეგულება სახელმოხვეჭილი მწერალი ხელს რომ არ მოაწერსო.

მოკლედ, ისეთები მითხრა, სხვას ხუმრობად ანდა დაცინვად ჩავუთვლიდი, მაგრამ ბატონ სოსოს, ლიტერატურულ პერიოდიკაში, ყოველი პუბლიკაციის შემდეგ რომ მეხმაურება, შერეული გუნდებისათვის, ჩემი ლექსების „ამღერებაზე“ რომ მუშაობს, როგორ შევკადრო, აჭარბებთ-მეთქი!

ხმა წამივიდა, ვერაფერს ვეუბნები... ბოლოს ძლივს ამოვღერღე, მადლობა ასეთი სიყვარულისთვის-მეთქი!

მადლობას მე გიხდით, ბედნიერი ვარ, თქვენ რომ არსებობთ და გიცნობთო.

აჰა, ესეც შენ, მიდი და ხმა ამოიღე!..

დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

დავდე ყურმილი და მოწყვეტილივით დავეშვი სკამზე.

რა მოხდა, ცუდი ხომ არაფერი გაიგეო, შეშფოთდა მეუღლე.

ვერც იმას ვუთხარი ვერაფერი, მხოლოდ საწყლად ავიჩეჩე მხრები და გავიფიქრე – ეჰ, ბატონო სოსო, ეგ ყველაფერი მართლა რომ დავიჯერო, მერე როგორღა ვიცხოვრო-მეთქი!...

* * *

**თქვენ** და თქვენმა „რჩეულებმა“ თუ არა, ღმერთმა მაინც იცის, „ამონარიდები“ იმიტომ არ დავიმოწმე, რომ ჩემი განსაკუთრებულობის ბანგით ვარ თავბრუდახვეული – კაცმა, თუნდაც დამსახურებული „ქება-დიდებიდან“, იმაზე მეტი არ უნდა „აკენკო“, რამდენსაც შენი „ჩიჩახვი“ ვერ დაიტევს და ვერ შეირგებს.

მინდა მოვუბოდიშო, ნამდვილ მკითხველს არ სჭირდება ამ ყველაფრის შეხსენება – ისედაც, „ციცხვმა“ უკეთესად იცის, „ოქროს“ ძირი აქვს თუ არა „ქოთანს“.ქალბატონო სალომე, ასეთი ხასიათის წერილების „ჩხიბვაში“ არ ვარ გაჩვეული, როცა დავასრულე, შვების ნაცვლად სული უფრო დამიმძიმდა – რა სასიხარულოა, ქვეყნის პრეზიდენტთან, ვინც დაკისრებული მოვალეობებით სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელ „სიწმინდეებთან“ იგივდება, ასეთი „საჭოჭმანო საქმის ქმნა“ რომ მოგიწევს.რას მერჩოდით, რატომ „ამტეხეთ“, საპრემიო „სპეცრაზმი“ რატომ დამახვედრეთ, გაგეშვით ჩემს გზაზე! გზაზე, სადაც თქვენი აშვებული „ნაგაზები“ ყეფენ, მაგრამ ქარავანი მაინც მიდის!

**27 ივლისი, 2024 წ.**

## პოეტის ახალი ლექსი




## სამშობლო...

დამძივდებიან ვარსკვლავები,
რამდენჯერ, ასე...
კვლავ ილაღებენ
დროის ქარნიც,
ახლა რომ ქრიან.
მე, რაც –
სიცოცხლით,
სიყვარულით,
და... რწმენით მავსებს,
იმას ქართულად,
ერთი სიტყვა –
სამშობლო ჰქვია!..

საკოცნელ მიწას,
მიწის ხელზე
ანთებულ ვარდებს,
დასაბამიდან –
ხმალ-გუთანზე
იმედის ცქრიალს,
არწივებს მყივანს, –
ელვასავით ჩაუქებს,
მარდებს,
სინდისს და ნამუსს –
დასტურ ჩემი
სამშობლო ჰქვია!..

ჭიუხში – ჯიხვებს,
ტყეში – ირმებს, –
წყვილად, თუ ცალად
სიცოცხლეს, – ზვარაკს
სიკეთისთვის აროდეს გვიან,
შოთას და ვაჟას
ლექსის, სიტყვის,
ჯადოსნურ ძალას,
საუფლოს ღმერთთა, –
ამ ოლიმპოს,
სამშობლო ჰქვია!..

ყალყზე შემდგარი
ჩანჩქერები –
ლაგამს რომ ხრავენ,
ქვევრებში ვაზის სამირონე
რომ იწყებს თქრიალს,
სარაჯიშვილის,
გონაშვილის –
სიმღერის ხავერდს,
ეს – კურთხეული
ეს – ღვთის სიტყვა:
სამშობლო ჰქვია!..

უფრო ლამაზი ამ რიჟრაჟზე,
რა უნდა მწამდეს ?..
უცქირეთ მთვარეს, –
ღამის სანთელს, –
წიქარას რქიანს, ატყორცნილ ტაძრებს, –
მზით მოხატულ,
იისფერ ცამდე,
თილისმა – სიტყვა,
ძუძუ – სიტყვა,
სამშობლო ჰქვია!..

მწვერვალებს, ველებს, –
ანდამატურს,
ცეცხლოვანს, ფრიად,
ხან – ზურმუხტოვანს,
ნარინჯოვანს
კლდიანს, თუ
ქვიანს...
სილაღეს, სევდას,
სიანკარეს,
ამ გულის ფრიალს,
ეს – ერთი სიტყვა,
ეს – მზესიტყვა:
სამშობლო ჰქვია!..

**ფარნა რაინა**
თელავი

# ქუთაისში მულტიფუნქციური საგამოფენო ცენტრი შენდება

**ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე, დასრულების ფაზაშია მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცის კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილის მშენებლობა. ყოფილი მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციისთვის საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან 5 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი.**

პროექტის მიხედვით, შენარჩუნებული იქნება შენობის ავთენტური იერსახე, რომელიც გაერთიანდება ახალ არქიტექტურასთან. მოეწყობა ტერასა მთავარი მოედნის ხედით და ამფითეატრის ტიპის სცენა 100 მაყურებლისთვის, გამომდინარე სივრცითი, კომპოზიციური და ფუნქციური მახასიათებლებიდან.

მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გია ბასილაძესთან ერთად გაეცნო.

„მალე დასრულდება ქუთაისისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენობის კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილის მშენებლობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ქალაქში გვექნება კიდევ ერთი თანამედროვე სახელოვნებო სივრცე, რომელიც ახალ შტრიხს შემატებს ქუთაისის ცენტრალურ მოედანს და ამასთანავე, შენარჩუნებული ექნება ავთენტური იერსახე”, – განაცხადა დავით ერემეიშვილმა.



# ახალგაზრდობა „მწვანე სამყაროსთვის“



**აზერბაიჯანის დიასპორის ახალგაზრდების მე-5 საზაფხულო ბანაკის მონაწილეებმა ღირსების და მოწამეთას ხეივნები მოინახულეს.**

**აზერბაიჯანის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტისა და ჰეიდარ ალიევის ფონდის მიერ ორგანიზებული დიასპორული ახალგაზრდების მე-5 საზაფხულო ბანაკის „ახალგაზრდობა მწვანე სამყაროსთვის“ მონაწილეები უკვე სამშობლოში იმყოფებიან.**

ლაჩინში გამგზავრებამდე, სადაც ბანაკი მდებარეობს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა ღირსების ხეივანში აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის საფლავი მოინახულეს და ყვავილებით შეამკეს.

ბანაკის მონაწილეებმა ასევე მოწამეთას პირველი და მეორე ხეივანი მოინახულეს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის სამშობლოსთვის დაღუპული შვილების ხსოვნას პატივი მიაგეს.

შემდეგ მონაწილეები გაემგზავრნენ ქალაქ ლაჩინში, სადაც ბანაკი გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ მე-5 საზაფხულო ბანაკში „ახალგაზრდები მწვანე სამყაროსთვის“ მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი თანამემამულეებიც:

**ჯოშგუნ ალიევი** – სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მონაწილეობს საჯარო სექტორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. თანამშრომლობს აზერბაიჯანის სახლთან მარნეულში.

**ორხან ალიევი** – საქართველოს გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარიდან. საშუალო განათლება – აზერბაიჯანულ, უმაღლესი განათლება კი ქართულ ენაზე მიიღო. ის პროფესიით იურისტია. შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომძიებლად მუშაობდა. ამჟამად ადვოკატად მუშაობს.

**იავარ მამედოვი** – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში მოქმედი „ყაბალის განვითარების ცენტრის“ დირექტორი, კიკბოქსინგის მსოფლიო ჩემპიონი.

**ლატიფ ქაზიმოვი** – საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოს სკოლის მასწავლებელი. „ნათელი მომავლის“ სასწავლო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

**ლაშა ისაგალაევი** – სწავლობს ახალგაზრდულ ცენტრ „ალიანსში“. დედამისი აზერბაიჯანის კალბაჯარის რაიონიდანაა, ის რეგულარულად მონაწილეობს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

**ემილ ალაჰვერდიევი** – მუშაობს ჭადრაკის მასწავლებლად მარნეულში, მისმა მოსწავლეებმა საქართველოში გამართულ საჭადრაკო შეჯიბრებებში წარმატებულ შედეგებს მიაღწიეს. პარალელურად ე. ალაჰვერდიევმა რამდენიმე საჭადრაკო ტურნირი მოაწყო, რომელიც დაკავშირებულია აზერბაიჯანის მნიშვნელოვან დღეებთან. ის ასევე აქტიურია გარემოსდაცვით საკითხებში.

* * *

**2 აგვისტოს** ლაჩინში დიასპორული ახალგაზრდების მე-5 საზაფხულო ბანაკის „ახალგაზრდობა მწვანე სამყაროსთვის“ გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ **ფარაჰ ალიევა,** აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის, დიასპორის, მულტიკულტურალიზმისა და რელიგიის საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი; დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ფუად მურადოვი;** აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ლაჩინის რაიონში **მასიმ მამედოვი;** კულტურის მინისტრის მოადგილე **ფარიდ ჯაფაროვი;** ჰეიდარ ალიევის ფონდის წარმომადგენელი **ელვინ ასლანოვი.**

დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტისა და ჰეიდარ ალიევის ფონდის ერთობლივი ორგანიზებით, ეს ღონისძიება ლაჩინში გაგრძელდება 7 აგვისტომდე. ბანაკში 60 ქვეყნიდან 115 ახალგაზრდა მონაწილეობს, მათ შორის აზერბაიჯანელები და აზერბაიჯანისადმი მეგობრული სხვა ერების წარმომადგენლები.

ბანაკის მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ლაჩინის, ასევე ყარაბაღის ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს, შეხვდნენ დაღუპულთა და ჩვენი გმირი ვეტერანების ოჯახების წევრებს, ასევე სხვადასხვა დარგის ექსპერტებს. გარდა ამისა, ბანაკის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ვიზიტი „ისლიმის“ ხალიჩების ქსოვის ცენტრში, „გილაბი კერამიკის“ ცენტრში, ჰეკარის თევზის ფერმაში, კრეატიულ სტუდიაში „ჰოჩაზფილმი“, სოფელ ზაბუხში, შუშაში და ყარაბაღის რიგ სხვა ქალაქებში.

ბანაკში მონაწილეობენ 18-29 წლის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ აზერბაიჯანულ ენაზე კომუნიკაციის უნარი. ბანაკში მონაწილეობის ღირებულება სრულად არის დაფარული.

შეგახსენებთ, რომ დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტისა და ჰეიდარ ალიევის ფონდის ერთობლივი ორგანიზებით ქალაქ შაქიში, შამახიში, შუშასა და ნახჩევანში მოეწყო ოთხი საზაფხულო ბანაკი დიასპორის ახალგაზრდებისთვის. ამ ბანაკებში მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მცხოვრები ასობით ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს:**

**ლაშა ისაგალაევი – „ალიანსის“ ახალგაზრდული ცენტრის კურსდამთავრებული –**

ლაჩინი მართლაც შესანიშნავი მიწაა თავისი ბუნებრივი სილამაზით. ჩვენი ბანაკი მდინარე ჰეკარის ნაპირზე მდებარეობს. დღეს ლაჩინში ახალი გზები იგება, შენდება სახლები და უძველესი სალოცავები რესტავრირდება. ორგანიზაციაც მაღალ დონეზეა.

მე ტილო მოვიტანე ხატვისთვის, მინდა დავხატო ლაჩინის ეს ულამაზესი ბუნებრივი პეიზაჟი და საჩუქრად მივაწოდო დიასპორის კომიტეტს.

**ორხან ალიევი – ადვოკატი, ქ. თბილისი –**

წინასწარ მინდა მადლობა გადავუხადო აზერბაიჯანის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტს და ჰეიდარ ალიევის ფონდს დიასპორული ახალგაზრდების მე-5 საზაფხულო ბანაკში „ახალგაზრდები მწვანე სამყაროსთვის“ მოწვევისთვის. მართლაც, ყარაბაღის ყოველი კუთხე სამოთხეა. ლაჩინის სილამაზემ მოგვხიბლა.

**ჯოშგუნ ალიევი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი –**

დღეს ყარაბაღში ვარ, აზერბაიჯანის ისტორიულ მიწაზე, რომელსაც მრავალი წელი ვნატრობდი და ქალაქ ლაჩინის სილამაზემ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამარჯვებული ქვეყნის გათავისუფლებულ მიწებზე თავისუფლად სიარული მეამაყება, ვამაყობ რომ ჩვენი ქვეყანა აზერბაიჯანია. რა თქმა უნდა, ქედს ვიხრით ამ 44-დღიან ომში სამშობლოსთვის დაღუპული ჩვენი მოწამეების წინაშე!..

მოამზადა
**მირზა ქართველიშვილმა**





# მდინარე ქსანზე არსებულ ხიდზე მოძრაობა ორივე ზოლზე აღდგენილია

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მე-40 კმ-ზე (დასავლეთის მიმართულება), მდინარე ქსანზე არსებულ სახიდე გადასასვლელზე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა ორივე ზოლზე აღდგენილია.**

ხიდის სავალ ნაწილზე დაზიანებული იყო ბეტონის დამცავი



ფენა, რაც საფრთხეს უქმნიდა ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ხიდის სავალ ნაწილზე მოძრაობა ნაწილობრივ შეზღუდული იყო და ავტოტრანსპორტი მოძრაობდა ხიდის მხოლოდ ერთ სამოძრაო ზოლში.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის 5 ივნისს დაიწყო და გეგმის მიხედვით, 5 აგვისტოს უნდა დასრულებულიყო.

მდინარე ქსანზე არსებული სახიდე გადასასვლელზე (დასავლეთის მიმართულება) სარეაბილიტაციო სამუშაოები ორივე სამოძრაო ზოლზე ჩატარდა.

# ე.წ. ლამინირებულ (ქაღალდის) პირადობის მოწმობებს იურიდიული ძალა დაეკარგა

**იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ე.წ. ლამინირებულ (ქაღალდის) პირადობის მოწმობებს იურიდიული ძალა დაეკარგა. იმისათვის, რომ მოქალაქეებმა, სერვისებით სარგებლობა უპრობლემოდ შეძლონ, არ შეექმნათ დაბრკოლება პენსიის, თუ სხვა სოციალური გასაცემელის მიღებისას, აუცილებელია, მიმართონ იუსტიციის სახლის ფილიალებს, მობილურ იუსტიციის სახლებს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს, სადაც უფასოდ შეძლებენ პირადობის მოწმობის შეცვლას.**

შეგახსენებთ, რომ 2024 წლის 1 ივლისიდან, კანონის ძალით, საქართველოში, იურიდიული ძალა დაეკარგა 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემულ პირადობის მოწმობებს.

იმ მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუცვლია ე.წ. ლამინირებული პირადობის მოწმობა, სახელმწიფომ, მიიღო გადაწყვეტილება, კიდევ ერთი თვის განმავლობაში, სერვისებზე შეუფერხებელი წვდომა შეუნარჩუნდეთ. აღნიშნული წესი დროებითია და არ ნიშნავს ე.წ. ლამინირებული პირადობის მოწმობებისთვის მოქმედების ვადის გაგრძელებას. ამასთანავე, აღნიშნულ პირებს, 1 აგვისტოდან, სოციალური დახმარების, პენსიის და სხვა გასაცემლების მიღება შეუძლიათ, მხოლოდ შესაბამისი ბანკის ფილიალებში ვიზიტის გზით. მათ შეზღუდული აქვთ ბანკომატების და ტერმინალების გამოყენება, საბანკო გადარიცხვები და სხვა საბანკო ოპერაციები.



საქართველოს რესპუბლიკა

# პურადი და გულადი მამულიშვილი



## მეცნიერი და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მეწარმე მალხაზ დოლიძე იუბილარია!..

**ყველასათვის** კარგად ცნობილია და ძნელი გასახსენებელია გასული საუკუნის 90 წლები. ამ უსაშინლეს დროს, როდესაც „ძლევამოსილი საბჭოეთის“ ნანგრევებისგან ყველაზე მეტად ჩვენი სამშობლო დაზარალდა, გარეშე ძალების პროვოცირებითა და ჩვენივე უგუნურობით გაჩაღებულ სამოქალაქო ომით, შემდგომში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განვითარებული დაპირისპირებით, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასიათასობით ადამიანი თავისსავე სამშობლოში დევნილად აქცია, განადგურდა ისედაც დაღმა მიმავალი ეკონომიკა, გაჩანაგდა ინფრასტრუქტურა, დანაწევრდა და დღემდე ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორია... სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხი შიმშილისა და სულიერი განადგურების ზღვარზე იყო მისული, ჩვენში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ერთგულებით, ორგანიზატორული ნიჭითა და პროფესიული გამბედაობით, რისკის ფასად ცდილობდნენ, მოქალაქეთათვის შეექმნათ თუნდაც მინიმალური შესაძლებლობა იმისა, რომ ფიზიკურად არ განადგურებულიყვნენ. მათ შორის გახლდათ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, პროფესიონალთა შორის გამობრძმედილი ადამიანი **მალხაზ დოლიძე.** ბატონი მალხაზი იმხანად ქალაქ თბილისის N4 პურის ქარხანას ხელმძღვანელობდა დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ნაძალადევში. უბანში, სადაც ოდითგანვე იცოდნენ შრომის ყადრი, ერთმანეთისადმი ერთგულება, გატანა, გვერდში დგომა და რაც მთავარია, სიტყვის ფასი. სწორედ ამ თვისებებით დაჯილდოებულმა ადამიანმა შეძლო იმ დროს, როდესაც მრავალი, საწარმოები დაშლილი და უცხოეთში, კაპიკეპში ჯართად გაყიდული მანქანა-დანადგარების გარეშე იყო დარჩენილი, უმუშევრად მყოფი, პესიმისტურად განწყობილი ათასობით მშრომელი ადამიანის გვერდით დადგომა. სწორი მენეჯმენტით, ორგანიზატორული ნიჭით და წარმოუდგენელი რისკის ფასად შეძლო უშუქობის, ნედლეულის არქონის პირობებში ერთგული თანამშრომლობის



**მალხაზ დოლიძე მეგობრებთან, გოგი თოფაძესთან და გურამ შარაძესთან ერთად**

გვერდში დგომით აემუშავებინა ქარხანა, რომელიც ათიათასობით მოსახლეს ამარაგებდა პურპროდუქტებით, რომელმაც ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა არა მარტო ასეულობით თანამშრომელი, არამედ მთელი ეს უზარმაზარი დასახლება, ნაძალადევი. შეძლო მაგალითი ყოფილიყო იმ მრეწველთათვის, რომლებსაც ხელი ჰქონდათ ჩაქნეული თავიანთი საწარმოების ასამუშავებლად... თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველივე ეს ხდებოდა იმ განუკითხაობის დროს, როდესაც კბილებამდე შეიარაღებული ბანდები, თუ „დაჯგუფება-საძმოები“, ხელისუფლების ხელშეწყობით ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ხალხს. რამდენიმე ცვლაში, თითქმის გაუჩერებლად მუშაობდა საწარმო ამ პერიოდში და ჩამომდგარ უკუნში ერთადერთ ნათელ შუქად ბჟუტავდა 90-იან წლებში.

როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, საქართველოში, მაშინაც ამოქმედდა უხსოვარი დროიდან შემორჩენილი სამწუხარო პრინციპი – „რატომ კარგი აგიგიაო“ და უკვე ცივილიზებულ ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც „დემოკრატიის შუქურით“ „განათებულ“ საქართველოში, პროვოკაციებითა და დაკანონებული აღვირახსნილი კანონებით, რომელიც მეწარმეთა (არასასურველ მეწარმეთა) დატერორებას იმსახურებდა, კვლავ აღმართში მიაწიეს ქვა ამ გულანთებულ და სამშობლოსთვის ერთგულ ადამიანს, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს, **რწმენა და იმედი ვერ შეურყიეს და იგი, პურის მწარმოებელთა კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტექნიკური მეცნიერების დოქტორი, დარგის ამაგდარი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი, პროფესორი, ღირსების ორდენოსანი, თავისი დაბადების 75 წლისთავს ამაყად, წელში გამართული, სამშობლოსა და ხალხისადმი პირნათელი, გაუტეხელი მწრამსისა და ენერგიის ადამიანის სიამაყით ხვდება.**

მალხაზ დოლიძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა. შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი ქიმიისა და კვების, ტექნოლოგიის ფაკულტეტი. 50 წელზე მეტია მოღვაწეობს პურპროდუქტების სისტემაში, 1997 წლის 3 ივნისს საწარმოთა სიმძლავრეების შენარჩუნების, მოსახლეობის პურით შეუფერხებლად მომარაგების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და კვალიფიციური მომსახურებისთვის კვების მრეწველობის სისტემაში პირველს მიენიჭა ღირსების ორდენი. იგი თითქმის 20 წელია ტექნიკურ უნივერსიტეტში ეწევა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2024 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემის ინჟინერინგის ფაკულტეტის 10 წლისთავთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ხანგრძლივი, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობისთვის საპატიო დიპლომით დააჯილდოვა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, როდესაც პრაქტიკოსი მეწარმე მეცნიერებაში პრაქტიკულ გამოცდილებას უხამებს თეორიულს, ეს სწავლებისთვის მეტად მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და გაეროს განვითარების ერთობლივი პროექტის საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია, LMZ-ის საგანმანათლებლო რესურსების გამომცემლობის მეთოდოლოგიური დახმარებით „პურპროდუქტების“ დარგის საკითხები სწორედ მალხაზ დოლიძის ავტორობითაა დამუშავებული და შედგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველად საქართველოში მის დაქვემდებარებულ ქარხანაში განხორციელდა „დიაბეტური პურის“ ნახშირწყლებიდან გამორეცხვის მეთოდი და მოდიფიცირებული სახამებლის მიღება წარმოების ნარჩენებიდან, რაც სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. დღეს, როდესაც წარმოების ნარჩენებზე ფართოდ საუბრობენ, პირველად, ჯერ კიდევ 2005-07 წლებში, ქართველმა პროფესორმა და ექსპერიმენტატორმა რევაზ იაშვილმა და მაშინ ახალგაზრდა მეცნიერმა მალხაზ დოლიძემ საინტერესო ნაშრომი შექმნეს, **„კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ნარჩენების გამოყენება“**, რომელიც დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე სტუდენტების სამაგიდო სახელმძღვანელოა. საინტერესოა მალხაზ დოლიძის კვლევები ქართული კვების მრეწველობის დარგის განვითარების ეტაპების შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ძალიან საინტერესო წერილები და პუბლიკაციები. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „მამულიშვილთა გახსენება“ 2018 წელს საპატიო სიგელით დააჯილდოვა მალხაზ დოლიძე ნაშრომისთვის, რომელიც საქართველოში პურპროდუქტების წარმოების 100 წლისთავს ეხება.

მნიშვნელოვანია მალხაზ დოლიძის ნაშრომები ქართული უგლუტენო პროდუქციის საკითხებზე. საერთაშორისო კონფერენციები და პურპროდუქტებისადმი მიძღვნილი გამოფენები, მოხსენებები, რომელიც ქართული პროდუქტებისადმი არის მიძღვნილი მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ძალიან საინტერესოა მისი წიგნი **„კვების პროდუქტები, ანუ იდუმალებით მოცული სამყარო“**, რომელიც გამომცემლობა „საარში“ 2005 წელს გამოიცა და რომელსაც მწერალმა და პუბლიცისტმა ზურაბ ქარუმიძემ სპეციალური ტელეგადცემა მიუძღვნა.

მეცნიერი დღესაც საინტერესო და აქტუალურ თემებზე მუშაობს. მაგალითად უგლუტენო ქართული პურის შესახებ, რომელსაც მისი დოქტორანტი ტრიფონ ფარჯანაძე სულ მალე წარმოუდგენს საზოგადოებას. მეტად საინტერესოა მალხაზ დოლიძის კვლევები მოხარშული ცომით შავი და რუხი პურის წარმოება და მისი პრაქტიკული დანერგვა.

არანაკლებ საინტერესოა პროფესორ პაატა კოღუაშვილთან თანაავტორობით შექმნილი რამდენიმე ინიციატივა ქართული ხორბლის მოყვანისა და განვითარების თანამედროვე პრობლემატიკაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ქვაკუთხედია.

ქვეყნის პურპროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ნებისმიერი მოქალაქისთვის, სწორედ მისი სტაბილიზაცია და სწორი პროგნოზირებაა მალხაზ დოლიძისთვის, როგორც დარგის ექსპერტის და პრაქტიკოსის მიზანი. ყოველივე ეს გამოიხატება მის ლექციებსა და სემინარებში, ახალგაზრდა მეცნიერებთან ურთიერთობაში, მომავალი სპეციალისტების აღზრდაში.

ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ მალხაზ დოლიძემ მართლაც საპატიო ადგილი დაიკავა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის ბრძოლის საქმეში.

ვულოცავთ ამ შესანიშნავ პიროვნებას, ღვაწლმოსილ მუშაკსა და ახალგაზრდების საყვარელ პედაგოგს საიუბილეო თარიღს. სწორედ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიესადაგება დიდი რეზო თაბუკაშვილის სიტყვები **„შენი პროფესიონალიზმი შენს საქმიანობაში შენი ქვეყნის პატრიოტიზმიაო“...**

**ედიშერ კვესიტაძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

## ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან შსს-ს სხვადასხვა დანაყოფში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ინიციატივით, მიმდინარე წლის სექტემბრიდან დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში 4-თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან.**

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 200 პირს შესაძლებლობა ექნება ანაზღაურებადი სტაჟირება გაიაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში.

„სტაჟირების მსურველებს განაცხადის წარდგენა 2-დან 8 აგვისტოს ჩათვლით შეეძლებათ www.hr.gov.ge -ის მეშვეობით.

სტაჟიორად შეიძლება მიღებული იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე; ან სწავლობს მაგისტრატურის საფეხურზე; ან დასრულებული აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრების (GPA) მაჩვენებელი და ქულათა სისტემა. გასაუბრებისას უპირატესობა მიენიჭებათ უმაღლესი მოსწრების კანდიდატებს.

სტაჟირების მსურველმა უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სამოტივაციო წერილი და ინფორმაცია სწავლის ეტაპის ან დასრულების და აკადემიური მოსწრების შესახებ.

**რაც კარგია, კარგია!**

კონკურსი ორ ეტაპად წარიმართება – საბუთების გადარჩევა და გასაუბრება. სტაჟიორის კონკურსის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატის სტაჟიორად შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შეფასებაზე უფლებამოსილი კომისია.



**ძიუდო**

# სკანდალმა ძალიან დაგვაზარალა!

**პარიზში გრძელდება ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომელშიც საასპარეზოდ საქართველოს 28 წარმომადგენელი გაემგზავრა. ორთაბრძოლები უკვე დაასრულეს ძიუდოისტებმა (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი), რომლებმაც ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.**

**ლაშა ბეკაურის** (90 კგ) **„ოქროსა"** და **ტატო გრიგალაშვილის** (81 კგ) **„ვერცხლზე"** უკვე ვწერდით. ჩვენს დელეგაციას კიდევ ერთი ვერცხლის ჯილდო **ილია სულამანიძემ** (100 კგ) შესძინა, არადა, ეს მედალი ოქროსი უნდა ყოფილიყო.

ქართველი ძიუდოისტი წონის უპირობო ფავორიტი იყო. შეჯიბრებაში ის მერვედფინალიდან ჩაება, სადაც იტალიელ **ჯენარო პირელის** ორ წუთსა და 8 წამში იპონით აჯობა, შემდეგ იაპონელ ოლიმპიურ ჩემპიონ **აარონ ვოლფს** ვაზარით სძლია, ნახევარფინალში შვეიცარიელი **დანიელ აიხი** 11 წამში დაჯაბნა და გადამწყვეტ შეხვედრაში აზერბაიჯანელ **ზელიმ კოცოევს** დაუპირისპირდა. პაექრობის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, სულამანიძე ვაზარით რომ დაწინაურდა. ორთაბრძოლის დამთავრებამდე 15 წამით ადრე ჩვენებურს მხოლოდ ერთი გაფრთხილება ჰქონდა, მაგრამ 7 წამში იმდენი „მოახერხა", რომ გაუმართლებელი ჩახტომებით ორი გაფრთხილება მიიღო და კოცოევს ოლიმპიური ჩემპიონობა აჩუქა, თავად კი მეორე ადგილს დასჯერდა.

ძიუდოისტთა პირადი პირველობების ბოლო დღე ჩვენთვის სკანდალით დასრულდა. +100 კილოგრამი წონითი კატეგორიის ორთაბრძოლებში ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **გურამ თუშიშვილი** ჩაება. პირველ შეხვედრაში მან სენეგალელი **მბანიკ ნდიაეს** იოლად სძლია. მეოთხედფინალში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **ტედი რინერს** დაუპირისპირდა. მეტოქეს გაფრთხილებაც მიაღებინა, მაგრამ პაექრობის დასრულებამდე 24 წამით ადრე რინერის ილეთი არბიტრმა „იპონით" შეაფასა. ამის შემდეგ ფრანგი ძიუდოისტის არასპორტულ საქციელს ტატამიზე თუშიშვილის შეპასუხება მოჰყვა, რისთვისაც ქართველი სპორტსმენი დასაჯეს - დამამშვიდებელში ბრინჯაოსთვის ბრძოლის გაგრძელება და გუნდურში გამოსვლაც აუკრძალეს, რამაც საქართველოს ნაკრები დააზარალა.

იმავე დღეს **სოფიო სომხიშვილმაც** (+78) იჭიდავა. სტარტზე გერმანელ **რენე ლუხტს** მოუგო, შემდეგ კი მასპინძელთა ლიდერ **რომანე დიკოსთან** დამარცხდა.

ქართველი ძიუდოისტებისთვის სადებიუტო გუნდური ტურნირი (ქალ-ვაჟთა შერეული შეჯიბრება) იტალიასთან მატჩით დაიწყო. **ეთერ ლიპარტელიანმა ოდეტე გუფრიდა** იპონით დაამარცხა, **ლაშა შავდათუაშვილმა ლომბარდოსთან** წააგო, მისი ბედი გაიზიარა **ეთერ ასკილაშვილმა,** რომელსაც **კიმ პოლინგიმ** სძლია, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლაშა ბექაურმა კრისტიან პარლატის** დამარცხებით წონასწორობა აღადგინა – 2:2, **სოფიო სომხიშვილი** ოლიმპიურ ჩემპიონ **ალიჩე ბელანდისთან** ვერაფერს გახდა. მეორედ გაათანაბრა **ანგარიში ილია სულამანიძემ**, მან **ჯენარო პირელის** აჯობა. გადამწყვეტ მე-7 შეხვედრაში **ლაშა შავდათუაშვილმა** ისევ წააგო **ლომბარდოსთან.** საქართველოს ნაკრები 3:4 დამარცხდა და



შეჯიბრებას გამოეთიშა.

გუნდურში ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა **საფრანგეთის** ნაკრებმა, რომელმაც ფინალში იაპონიას მოუგო 4:3. ბრინჯაოს მედლები **ბრაზილიას** და **სამხრეთ კორეას** ერგოთ.

**ლექსო ცინცაძე**

**კრივი**

# ორი მოგება და... გარანტირებული ბრინჯაო

**1952 წლიდან, რაც ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ, ჩვენმა მოკრივეებმა მხოლოდ ორჯერ მოიპოვეს ოლიმპიური ბრინჯაოს მედლები - 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე რამაზ ფალიანმა და 2000 წელს სიდნეიში ვლადიმერ ჭანტურიამ დაიკავეს მესამე ადგილები. პარიზში მათს რიგებს შეუერთდა რუსთაველი ლაშა გურული, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი, უფროსებში — ევროპის ზედიზედ სამგზის ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს მფლობელი,**

საფრანგეთის დედაქალაქის ოლიმპიურ რინგზე 63.5 კილოგრამ წონით კატეგორიაში გურულმა ორი მეტოქე დაამარცხა: მერვედფინალში აზერბაიჯანელ მალიკ ჰასანოვს დაძაბულ პაექრობაში აჯობა 5:0 და მეოთხედფინალში ყაზახ მუხამედსაბირ ბაზარბაილის შეხვდა. პირველი სამწუთიანი მონაკვეთი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ხუთივე არბიტრმა უპირატესობა აზიელ მოკრივეს მიანიჭა. მომდევნო ორ რაუნდში ქართველი მოკრივე უკეთ გაისარჯა - კარგად იცავდა თავს, იერიშებიც უფრო მიზანმიმართული გახადა, რაც არბიტრების



შეფასებაშიც აისახა. ლაშა გურულმა 3:2 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა, რითაც ბრინჯაოს მედალი დაიბევა.

**გუშინ ის კუბელ მოკრივესთან პირწმინდად დამარცხდა!..**

**გივი გაგუა**

**ბატუტზე ხტომა**

# კვარცხლბეკს ვერც ამჯერად შესწვდა

**34 წლის თბილისელი ლუბა გოლოვინა სამი ოლიმპიადის (2008, 2012, 2016) მონაწილეა, მაგრამ ოლიმპიურ კვარცხლბეკზე არასდროს ასულა. მან წლეულს პარიზის თამაშების საგზურიც მოიპოვა და სხვადასხვა ქვეყნის 15 წარმომადგენელთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლებაც დაიმსახურა. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ცდაზე მან 53.620, მეორეზე კი 53.460 ქულა დაიმსახურა, რაც მხოლოდ მე-11 ადგილისთვის ეყო. ამ შედეგით ის ფინალში ვერ შევიდა და ოლიმპიადაზე გამოსვლა დაასრულა.**

ქულით 33 წლის ინგლისელმა **ბრიონი პეიჯმ** მოიპოვა, რომელსაც აქამდე ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები ჰქონდა დამსახურებული, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატების 4 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

56.060 ქულით ვერცხლის მედალი ერგო თამაშების დებიუტანტს, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონს, 19 წლის **ვიალეტა ბარძილოვსკაიას** (ბელარუსი). მესამე ადგილზე მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **სოფი მეთოტი** (კანადა, 55.650) გავიდა.



კვალიფიკაციაში 56.720 ქულით პირველი იყო ინდივიდუალურ ხტომებში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, გუნდურსა და სინქრონულში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ჩჟუ სიუეინი** (ჩინეთი), თუმცა მან გადამწყვეტი ორთაბრძოლებისას პოზიციები ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ უმედლოდ დარჩა. ჩემპიონობა 56.480

* * *

**ოლიმპიური** თამაშების 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ძალებს ცდიდა საქართველოს ნაკრების წევრი **ლიკა ხარჩილავა,** რომელიც წინასწარი შეჯიბრებისას 12.37 წამით მე-20 ადგილზე გავიდა და ოლიმპიადას დაემშვიდობა.

**ლაშა ვეფხვაძე**

**რაგბი**

# სამხრეთ აფრიკაში მოსინჯავენ ძალებს

**საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები 6 აგვისტოს სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება და სამმატჩიან ტურნეს გამართავს: 12 და 16 აგვისტოს ჩვენების მეტოქე სამხრეთი აფრიკა A იქნება, 20 აგვისტოს საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. უმცროსი „ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ამონაშვილმა ნაკრების 28-კაციანი სია გამოაქვეყნა:**

**საქართველო U18: შერკინება:** ნიკოლოზ ოლქიშვილი („ლელო"), დაჩი ჭელიძე („ლელო"), დავით არჩვაძე („ლელო"), ანრი შველიძე („ბრივი", საფრანგეთი), გიორგი ტურაშვილი („იფსვიჩი", ინგლისი), ლევან ეზიეშვილი („კლერმონი", საფრანგეთი), ნიკოლოზ კუმარიტოვი („ლოკომოტივი"), დავით ბარამია („ლელო"), ნიკოლოზ ჩხორთოლია („კლერმონი", საფრანგეთი), გიორგი მეფარიშვილი („აია"), მიხეილ შიოშვილი („ლელო"), ლუკა საღინაძე („ლიონი", საფრანგეთი), გიორგი ზაზაძე („ხარები"), ლუკა გაბუნია („აია"), გიორგი არძენაძე (ჩაქვი);

**უკანა ხაზი:** თემურ ძოძუაშვილი („აია"), დავით წიკლაური („ხვამლი"), გოგა უშვერიძე („აია"), გიგი სირბილაძე („ლელო"), ლუკა თვაური („ხვამლი"), დავით ბარბაქაძე (არმია), დავით არავიაშვილი („არმაზი"), იოანე ბასილაია („ლელო"), ლეონიდე სალდაძე („ლოკომოტივი"), გიგა ყიფშიძე („ხვამლი"), გივი სოსელია („კოლხი რაინდები"), ნიკოლოზ ხალვაში („ლელო"), საბა შარვაშიძე („აია").

**სოსო თევზაძე**

**ფეხბურთი**

# ზივზივაძის ჰეთ-თრიკი

**საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი ბუდუ ზივზივაძე გერმანიის II ბუნდესლიგაში თამაშობს. ის „კარლსრუეს" სპორტულ ღირსებას იცავს. ჩვენებურის გუნდმა ჩემპიონატის სასტარტო მატჩში „ნიურნბერგს" უმასპინძლა და 3:2 მოუგო.**

საგულისხმოა, რომ პირველ ტაიმში კარლსრუელები შეხვედრას 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ შესვენებამდე სხვაობა ზივზივაძის გოლმა მინიმუმამდე შეამცირა. მეორე ტაიმში ქართველმა ფეხბურთელმა კიდევ ორჯერ იყოჩაღა და გერმანიაში პირველი ჰეთ-თრიკი (სულ კარიერაში – მეხუთე) შეასრულა.



აღსანიშნავია ისიც, რომ ბუდუ არის პირველი ფეხბურთელი, რომელმაც 2020 წლის შემდეგ მეორე ბუნდესლიგის პირველ ტურში ჰეთ-თრიკით გამოიჩინა თავი. საერთოდ კი, 16 ბურთი აქვს შეგდებული მეტოქეთა კარში, რითაც ლევან კობიაშვილს გაუსწრო, მაგრამ ალექსანდრე იაშვილს 31 გოლით ჩამორჩება.

**თენგიზ ჯაიანი**

**ჭადრაკი**

# ნანა ძაგნიძე პირველ ათეულშია

**ქართველი დიდოსტატი, ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდეს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგების პირველ ათეულში ინარჩუნებს ადგილს, ხოლო ვაჟთაგან პირველ ასეულშიც არავინაა.**

განახლებული რეიტინგით პირველი ათეულები:

**ქალები.** ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2633), ცზიუი ვენცზიუნი (ჩინეთი, 2563), ლეი ტინცზე (ჩინეთი, 2549), თან ჩჟუნი (ჩინეთი, 2545), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2545), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2532), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2530), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2525), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2508), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2506), რამეშბაბუ ვაიშალი (ინდოეთი, 2506).

ქართველთაგან პირველ ასეულში, ძაგნიძის გარდა, არიან: 22. ნინო ბაციაშვილი (2461), 23. მერი არაბიძე (2457), 27. ლელა ჯავახიშვილი (2451), 36. ბელა ხოტენაშვილი (2427),

**ვაჟები.** მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2832), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2802), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2793), არიუნ ერიგაისი (ინდოეთი, 2778), იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2767), გუკეში (ინდოეთი, 2766), ნოდირბეკ აბდუსატოროვი (უზბეკეთი, 2762), იი ვეი (ჩინეთი, 2762), ალირეზა ფირუზჯა (საფრანგეთი, 2751), ვესლი სო (აშშ, 2751).

**ლიკა ვაჭრიძე**

# ქუთაისში, ყოფილი პარლამენტის შენობაში 2025 წლისთვის ტექნოლოგიური ჰაბი განთავსდება



**აღნიშნულის** შესახებ განკარგულებას ხელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე აწერს.

პროექტისთვის, ჯამში, 12 მილიონი ლარი გამოიყოფა. ჰაბის გახსნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დაევალა.

ქუთაისში აშენებული პარლამენტის შენობა, 2018 წლის შემდეგ, რაც „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ საპარლამენტო საქმიანობა, სრულად, ისევ თბილისის პარლამენტში დააბრუნა, ფაქტობრივად უფუნქციოა!..

# პრეზიდენტმა 22 მსჯავრდებული შეიწყალა

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 14 მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, მათ შორის 1 ქალი მსჯავრდებულია.

მათივე ცნობით, 7 მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა. შეწყალების აქტი შეეხო ასევე, 1 პირობით მსჯავრდებულს, რომელიც სრულად გათავისუფლდა პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან.

# პარიზის ოლიმპიადის რეჟისორს თომას ჟოლის მოკვლით ემუქრებიან!

**როგორც „პოლიტიკო" წერს, თომას ჯოლიმ აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებს თავად მიმართა.**

საფრანგეთის პროკურატურაში განაცხადეს, რომ გააანალიზეს თომას ჯოლისთვის მიწერილი მუქარის შემცველი გზავნილები და ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე უწყებას გადაეცა.

„პოლიტიკოს" ინფორმაციით, თომას ჯოლის მიმართ შეურაცხყოფა და მუქარა უკავშირდება ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის იმ ნაწილს, რომელშიც "დრაგ არტისტები" მონაწილეობდნენ და ბევრმა ეს წარმოდგენა ლეონარდო და ვინჩის ნახატს, „საიდუმლო სერობას" შეადარა.

წარმოდგენას სხვადასხვა ქრისტიანული ჯგუფის მხრიდან მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. პერფორმანსი ასევე გააკრიტიკეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა და აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა.

თომას ჯოლის მხარდაჭერა გამოუცხადა პარიზის მერმა ან იდალგომ.



ოლიმპიადის ცერემონიის რეჟისორის გარდა, მუქარებისა და შეურაცხყოფის შესახებ განაცხადა ასევე ლესბოსელმა დიჯეიმ ბარბარა ბაჩმაც, რომელიც წამოდგენაში მონაწილეობდა.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რეჟისორმა კრიტიკის ფონზე არაერთხელ განმარტა, რომ წარმოდგენა, რომელიც ბევრმა „საიდუმლო სერობას" შეადარა, არ იყო შთაგონებული ლეონარდო და ვინჩის ნახატით და ის უკავშირდებოდა „ოლიმპოს ღმერთებს და წარმართულ დღესასწაულს".

„საფრანგეთში ჩვენ გვაქვს უფლება, გვიყვარდეს, როგორც გვინდა და ვინც გვინდა, გვაქვს უფლება, გვწამდეს ან არ გვწამდეს... ჩვენ ბევრი უფლებები გვაქვს და იდეა მდგომარეობდა ამ ღირებულებების ჩვენებაში", – განაცხადა ჯოლიმ.

# ემანუელ მაკრონი რეჟისორს გამოესარჩლა



**საფრანგეთის პრეზიდენტი პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რეჟისორის მოკვლის მუქარის გამო აღშფოთებულია.**

ემანუელ მაკრონმა შეაქო თომას ჯოლი სიმამაცისთვის და განაცხადა, რომ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიით ყველა ფრანგი ამაყობს.

**„ფრანგები ძალიან ამაყობენ ამ ცერემონიით. საფრანგეთმა მოახდინა სითამამისა და მისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისუფლების დემონსტრირება"**, – განაცხადა მაკრონმა.

## სულთათანა



**ეთერ ქემერტელიძე** უდიდესი გულისტკივილით იუწყება უნიკალური პიროვნების, მსოფლიოში გამოჩენილი მედიკოსის, საქართველოში შიდსისა და ჰეპატიტის მკურნალობის მამამთავრის, ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწის, ერთგული მეგობრის

**თენგიზ ცერცვაძის**

გარდაცვალებას, თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და საქართველოს მედიკოსთა საზოგადოებას.

## არდავიწყება

### ვლადიმერ გვარჯალაძე



**85 წლისა** გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში მარტვილის რაიონის ღირსეული თავკაცი, სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, საქართველოს მეფრინველეობის სამრეწველო გაერთიანების გენერალური დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შესანიშნავი პიროვნება და მამულიშვილი

**ვლადიმერ (ვოვა) გვარჯალაძე**

**ღმერთმა** მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს სულით და ხორცით ლამაზ ქართველს, ჩვენს დაუვიწყარ მეგობარს და პატრიოტს ვოვა გვარჯალაძეს!

**უახლოესი მეგობრები**

# მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნების 35 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში სხვადასხვა ქვეყნის 35 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევეს.**

შსს-ს ინფორმაციით, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იძულების წესით იქნა გაძევებული ქვეყნიდან.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ქვეყნიდან გაძევებულ იქნა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უზბეკეთის რესპუბლიკის, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ინდოეთის რესპუბლიკის, იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს და ირლანდიის რესპუბლიკის, ჯამში 35 მოქალაქე.

# თვითმფრინავით ფრენები უფრო და უფრო საშიში ხდება!

**როდესაც საუბრობენ გლობალური დათბობის უარყოფით შედეგებზე, ჩვეულებრივ ახსენებენ მყინვარების დნობას, ზღვის დონის აწევას, ცხოველების გადაშენებას და ა.შ. თუმცა, კლიმატის ცვლილების შედეგები რეალურად უფრო ღრმაა და უკვე იგრძნობა სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, მეცნიერთა აზრით, საჰაერო მოგზაურობა უფრო საშიში გახდა, ვიდრე ადრე იყო, მაგრამ ვითარება ყოველწლიურად მხოლოდ გაუარესდება. უფრო მეტიც, ეს ხდება რამდენიმე მიზეზის გამო, რომლებიც ერთდროულად დაკავშირებულია კლიმატთან.**

* * *

**ტურბულენტობა** საჰაერო ავარიების ყველაზე გავრცელებული მიზეზია. მართალია, ისინი თითქმის არასოდეს მთავრდება ავიაკატასტროფებით, მაგრამ იწვევს მგზავრების დაზიანებას, მოტეხილობებს და გულის შეტევით სიკვდილსაც კი.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კლიმატის ცვლილების გამო ეს ინციდენტები ხშირდება, თავად ტურბულენტობა კი უფრო ექსტრემალური ხდება. რედინგის უნივერსიტეტის ატმოსფერული მეცნიერების პროფესორის პოლ უილიამსის თქმით, ჩრდილო ატლანტიკაზე უკვე 55%-ით მეტი ტურბულენტობაა, ვიდრე 1979 წელს. თუმცა, 2060 წლისთვის ეს მაჩვენებელი 180%-მდე გაიზრდება, ანუ ტურბულენტობის შემცველი საჰაერო სივრცის მოცულობა თითქმის სამჯერ გაიზრდება.



მიზეზი რეაქტიული ნაკადების ძლიერი ქარია. ატმოსფეროს ზედა ფენებში ქარის ნაკადები, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოძრაობენ, ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ყოველი მომატებული გრადუსი რეაქტიულ ნაკადს 2%-ით აჩქარებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ჩრდილოეთ აფრიკა, აღმოსავლეთ აზია და ახლო აღმოსავლეთი განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან. საფრთხე იმდენად სერიოზულია, რომ მკვლევრების აზრით, დიზაინერებმა ის უნდა გაითვალისწინონ თვითმფრინავების დიზაინის შექმნის დროს.

ჰაერის სიმკვრივე მცირდება, რაც ართულებს თვითმფრინავების აფრენას.

ჰაერის ტემპერატურის მატება გავლენას ახდენს თვითმფრინავების აფრენის უნარზე. როგორც ატმოსფერო თბება, ჰაერი ფართოვდება და ნაკლებად მკვრივი ხდება. გარდა ამისა, ძრავის მუშაობა მცირდება. ამიტომ, თვითმფრინავებს მეტი სივრცე სჭირდებათ ასაფრენ ბილიკზე და ასევე ამცირებს მათ მოცულობას.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კლიმატის დათბობასთან ერთად, თვითმფრინავების აფრენისთვის საჭირო მანძილი წელიწადში საშუალოდ 0,15 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ექსტრემალური სიცხე უკვე იწვევს ფრენების გაცილებით მეტ შეფერხებას, ვიდრე ზამთრის ამინდი, იტყობინება **Bloomberg.**

* * *

**2024 წლის ივნისში, ავსტრიის ავიახაზების თვითმფრინავი ძლიერ დაზიანდა ქარიშხლის გამო. მისი ცხვირის კონუსი თითქმის მთლიანად გაანადგურა სეტყვამ, კაბინაში მინაც ჩაამტვრია. საბედნიეროდ, თვითმფრინავი წარმატებით დაეშვა და მგზავრები არ დაშავებულან. მეცნიერთა აზრით, მსგავსი შემთხვევები იშვიათი აღარ იქნება.**

# შოვში სტიქიის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი და ტაძარი აშენდება



**როგორც** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, შოვში ერთი წლის წინ ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა, რომელმაც შეძრა მთელი ქვეყანა.

**„შოვში, ტრაგედიის ადგილზე აშენდება ტაძარი, ეს არის ერთგვარი მცირე თანაგრძნობა, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც დაეღუპათ ოჯახის წევრები. ზუსტად ერთი წელი გავიდა შოვის ტრაგედიიდან. ჩვენ ყველას გვახსოვს ის უმძიმესი დღეები, რომლებიც ყველამ გამოვიარეთ, თუმცა ყველაზე მძიმე, რა თქმა უნდა, ჭირისუფლებისთვის იყო ეს დღეები და კიდევ ერთხელ მინდა, მათ მივუსამძიმრო. ეს იყო ძალიან დიდი ტრაგედია, რომელმაც შეძრა მთელი ქვეყანა და ჩვენი ვალია დღეს, რომ მაქსიმალური ყურადღება და თანაგრძნობა გამოვხატოთ. არის მათ შორის კონკრეტული თხოვნები, ტერიტორიის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია ჭირისუფლებისთვის და აუცილებლად ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ყველა თხოვნა შევასრულოთ“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაური პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერ კახა კალაძესთან, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შოვში 3 აგვისტოს იმყოფებოდა.



# რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი დამთავრდა

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამართული რეგიონული თეატრების მეათე, საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალი მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებებით დასრულდა. ბოლო საფესტივალო დღეს ფოთში პოლონურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი „კამერა, რომელიც დედამ მომცა“. მაყურებელმა ასევე ნახა ოზურგეთის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლი „ცის კარი“.**

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნებულ რეგიონული თეატრების მეათე საერთაშორისო ფესტივალს 26 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ფოთისა და სენაკის მუნიციპალიტეტებმა უმასპინძლა. წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე უცხოეთიდან ჩამოსულმა დასებმა. მათ შორის იყვნენ რუმინეთიდან და პოლონეთიდან ჩამოსული თეატრალური კოლექტივები. ფესტივალი 26 ივლისს ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით აღდგენილ სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნა ფესტივალის ათწლიანი ისტორიის ამსახველი კატალოგის პრეზენტაციით, რომელიც კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა.

ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ მიწვეული სტუმრები - რეჟისორები, თეატრის კრიტიკოსები, თეატრისა და კინოს მსახიობები.



# სეფიეთის ტაძარში კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო

**სეფიეთის ტაძარში კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო, - ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კედლის მხატვრობის რესტავრატორების მონაწილეობით აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთში მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო.

ტაძარი V-VI საუკუნეების მიჯნით თარიღდება და მას ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში ერთ-ერთ უძველეს ეკლესიად მოიხსენიებს.

2024 წლის 31 ივლისს ტაძრის ინტერიერში აიგო ხარაჩო, რომელმაც საშუალება მისცა სპეციალისტებს, კონსერვაციის დაწყებამდე შეესწავლათ კედლის მხატვრობის მდგომარეობა.

საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად გამაგრდება აქერცლილი საღებავის ფენა, ბზარები ამოივსება ავთენტიკური მასალით,

გამოსწორდება ზოგიერთი ქიმი.

ინფორმაციისთვის: 2021 წელს სეფიეთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის სახურავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ განაახლა, კერძოდ, დაზიანებული თუნუქის ბურული შეიცვალა სპილენძის გლუვი თუნუქის ფურცლებით.

2023 წელს საქართველოს კულტურის მინისტრი ესტუმრა სეფიეთს და სამნავიანი ბაზილიკის მდგომარეობას გაეცნო. მინისტრმა და სასულიერო პირებმა იმსჯელეს



დაზიანებებზე, რომლებიც სახურავის რეაბილიტაციამდე ინტერიერში წყლის ჩასვლამ გამოიწვია. დაიგეგმა 2024 წელს კედლის მხატვრობაზე ჩასატარებელი სამუშაოები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ დაიწყო.

სეფიეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია არის სამნავიანი ბაზილიკა ცილინდრული ფორმის შვერილი აფსიდით. ბაზილიკა ნაგებია შერეული წყობით, რომელშიც გამოყენებულია სუფთად გათლილი დიდი ქვები. კედლის მხატვრობამ ფრაგმენტების სახით მოაღწია. გარდა რელიგიური სიუჟეტებისა, გვხვდება ისტორიულ პირთა, ადგილობრივ ფეოდალთა პორტრეტები“...

# „დიდგორისა“ და „ფოცხიშვილების“ პირველი ერთობლივი კონცერტი

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერილი პროექტის – „ამღერებული მუზეუმის“ – ფარგლებში, 4 აგვისტოს, გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ამფითეატრში ანსამბლ „დიდგორისა“ და სამეფო ნაციონალური ბალეტის, „ფოცხიშვილების“, პირველი ერთობლივი კონცერტი გაიმართა. ანსამბლებმა წარმოადგინეს ქართული ფოლკლორი და ქორეოგრაფია.**

ამიერიდან პროექტ „ამღერებულ მუზეუმს“ ხალხური სიმღერის კონცერტებსა და გაკვეთილებთან ერთად კულტურის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით ქართული ცეკვის პროგრამაც დაემატება, რაც ღია ცის ქვეშ მუზეუმს ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. „ამღერებული მუზეუმი“ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანსამბლ „დიდგორის“ ინიციატივით 2023 წელს შეიქმნა და მას შემდეგ ხალხური სიმღერის გაკვეთილები და ფოლკლორული კონცერტები მუზეუმში ყოველთვიურად იმართება.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მიესალმება ანსამბლების ერთობლივ ნაყოფიერ თანამშრომლობას და მაყურებლისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამის შეთავაზებას.



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7075; ევრო - 2.9292;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4491;**
**100 რუბლი - 3.1569; თურქული ლირა - 0.0816;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5920;**
**1000 სომხური დრამი - 6.9825.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს**